



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში

ენგაჩივი მოიცავს 2015 წლიდან 2020 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდს



**საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციის სტრატეგიული
სამართალწარმოება საკონსტიტუციო
სასამართლოში**

**(ანგარიში მოიცავს 2015 წლიდან
2020 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდს)**

ანგარიშის ხელმძღვანელი: გიორგი გოცირიძე
ნონა ქურდოვანიძე

ავტორი: ვასილ შიშიაშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით,
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2020, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	5
მეთოდოლოგია	6
ძირითადი მიგნებები	7
რეკომენდაციები	9
1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მანია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	10
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის №1/3/1263 გადაწყვეტილება საქმეზე ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	13
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გ.გ და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	16
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	19
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე ბესიკ ქათამაძე, დავით მუხაზანაძე და ილია მაღაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	24
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის №3/9/682 საოქმო ჩანაწერი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/4/682 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	28
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე ედიშერ გოლუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ	30
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეციანი, ნინო ოდიშარია, დარი ჯანელიძე, თამარ ხითარაიშვილი და სალომე სეზისკვირაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	33
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ	37
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/5/626 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	39

11.	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	43
12.	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის №1/11/629,652 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ	46
13.	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/13/878 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ	49
14.	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/16/1346 განჩინება საქმეზე გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ	52
15.	საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის №1/19/1265,1318 განჩინება საქმეზე ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	55
16.	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნანა ფარეუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ	58

შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელოვანი ორგანო, რომელიც, ძირითადად, ორ მიზანს ემსახურება – სახელმწიფოს ფუნქციონირების უზრუნველყოფას (ხელშეწყობას) კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში და ადამიანის უფლებების დაცვას ხელისუფლების მხრიდან არათანაზომიერი ჩარევისგან (უფლების დარღვევისგან).¹ საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ მოვალეობებს საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების გზით ახორციელებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასრულებს ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას, გავლენას ახდენს ნორმაშემოქმედებით საქმიანობაზე – სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა (ნორმები) კარგავს იურიდიულ ძალას. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ზოგჯერ საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს, რისი ვალდებულებაც არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების შემქმნელ ორგანოებს აქვთ. შესაბამისად, მისი ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ გადაწყვეტილებების აღსრულებასთან.

დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლება დანაწილებულია სამართლის უზენაესობის პრინციპით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება ხდება ეფექტიანად, გაჭიანურების გარეშე. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვას, არამედ, ასევე, მიანიშნებს კარგ მმართველობასა და სამართლის უზენაესობაზე, განამტკიცებს საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობას და მის გადაწყვეტილებებს ანგარიშგასაწევს ხდის სხვა სახელმწიფო ორგანოებისთვის.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, წლებია, საკონსტიტუციო სასამართლოში სტრატეგიულ სამართალწარმოებას ახორციელებს, რითაც ცდილობს, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეების დარღვეული უფლებების აღდგენა და, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას როგორც ეროვნული (ადმინისტრაციული ორგანოები, მათ შორის, სახალხო დამცველის ინსტიტუტი და სასამართლოები), ისე საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია საიას მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოებული საქმეების ანალიზი და მათი აღსრულების მონიტორინგი. ეს შესაძლებელს გახდის, გაანალიზდეს ის პრობლემები, რომლებსაც ორგანიზაცია სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში აწყდება, ასევე, შემუშავდეს შესაბამისი რეკომენდაციები აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად.

¹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

მეთოდოლოგია

ანგარიშიში გაანალიზებულია საიას მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში ბოლო 5 წლის განმავლობაში (2015 - 2020 წლის პირველი ნახევარი) წარმოებული საქმეები. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და განჩინებებს თან ახლავს შესაბამისი ორგანოების მხრიდან მათი აღსრულების მონიტორინგი. ანგარიშიში ფარგლებში შესწავლილი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს 12 გადაწყვეტილება, 3 განჩინება, რომლებზეც სასამართლომ სადავო ნორმა დამძლევი ნორმის ინსტიტუტის გამოყენებით ცნო არაკონსტიტუციურად და 1 განჩინება, რომლითაც შეაჩერა სადავო ნორმის მოქმედება. თითოეული საქმის ანალიზი მოიცავს გადაწყვეტილების დასახელებას, დავის საგანს, მხარეთა არგუმენტებს, სასამართლოს დასაბუთებასა და აღსრულების მონიტორინგს. ასევე, მოხდა რელევანტური საკანონმდებლო ბაზის გაანალიზება და იმის გამოკვლევა, თუ როგორ აღსრულდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები.

ანგარიშიში შესული არ არის საიას მიერ წარმოებული საქმეები, რომლებზეც გადაწყვეტილება 2015 წლამდეა გამოტანილი, ასევე საქმეები, რომლებზეც საია 2015 წლის შემდგომ კოალიციურად მუშაობდა.²

საქართველოს კონსტიტუცია, მასში განხორციელებული ცვლილების³ საფუძველზე, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. ამასთან, ანგარიში მოიცავს ცვლილებამდე პერიოდსაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებისას მოხდა კონსტიტუციის მუხლების ნუმერაციის ცვლილება მოქმედი კონსტიტუციის იმ დებულებასთან მიმართებით, რომელსაც იდენტური/მსგავსი შინაარსი გააჩნია.

² საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება.

³ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლი.

ძირითადი მიზნები

საანგარიშო პერიოდში საიას მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოებულმა საქმეებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ადამიანის უფლებებით დაცული სფეროები. კერძოდ, არაკონსტიტუციურად გამოცხადდა:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები:

1. რომლებიც კანონიერად მიიჩნევდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან განსხვავებული კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს.
2. რომელთა მიხედვითაც, შეუძლებელი იყო პირის დაზარალებულად ცნობაზე უარის სასამართლოში გასაჩივრება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის ნორმები:

3. რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე დადგენილების გასაჩივრების ვადა აითვლებოდა არა სამართალდამრღვევად ცნობილი პირისთვის მისი ჩაბარებიდან, არამედ სასამართლოს სხდომაზე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან.
4. რომლის მიხედვითაც, სახდელის დადების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ზოგიერთი დადგენილების გასაჩივრება არ ხდებოდა სააპელაციო სასამართლოში.
5. რომლის მიხედვითაც, დასჯადი იყო კერძო საკუთრების ფასადზე მესაკუთრის მიერ, ან მისი ნებართვით, ბანერების, ლოზუნგებისა და პლაკატების დროებითი განთავსება სპონტანური აქციის მსვლელობისას.

საარჩევნო კოდექსის ის ნორმები:

6. რომლებიც მერებისა და გამგებლების არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავდა იმ კანდიდატებს, რომლებიც წარდგენილნი იყვნენ საინიციატივო ჯგუფის მეშვეობით და კენჭს იყრიდნენ, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატები.
7. რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და, ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელის არჩევნებში მონაწილეობის წინაპირობად ადგენდა ბინადრობის 2 წლიან ცენზს.

ასევე:

8. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1-ლი მარტის N271 ბრძანების ის მუხლი, რომლის მიხედვითაც, სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია ინახებოდა უვადოდ.
9. საქართველოს თავდაცვის მინისტრის N583 და N582 ბრძანებების ის ნორმები, რომლებიც თავდაცვის მინისტრს თანამდებობიდან სამხედრო მოსამსახურის დაუსაბუთებლად გათავისუფლების შესაძლებლობას აძლევდა.
10. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა ახალი გამგებლის/მერის არჩევისას გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ე.წ. სოფლის რწმუნებულის) უფლებამოსილების ავტომატური შეწყვეტის შესაძლებლობას. ასევე, აღნიშნული ნორმები გამგებელს/მერს ანიჭებდა უფლებას, დასაბუთების გარეშე, დაკავებული თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
11. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების ის ნორმები, რომელთა მიხედვით, სახელმწიფო დაზღვევის საბაზისო პაკეტით სარგებლობის უფლება უზღუდებოდათ პირებს, რომლებიც, 2013 წლის 1-ლი ივლისის მდგომარეობით, კერძო სადაზღვევო სქემას დატოვებდნენ.

12. „სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენების განსაზღვრის შე-სახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის N241/ნ ბრძანების ნორმა, რომლის მიხედვით, სისხლის კომპონენტების დონორობა უვადოდ ეკრძალებოდა მამაკაცს, რომელსაც სქესობრივი კავშირი ჰქონდა სხვა მამაკაცთან.
13. სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმა, რომელიც ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას აწესებდა მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისთვის.
14. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N200 და N116 ბრძანებების ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმების წესს. კერძოდ, სრული შემოწმებისას ხდებოდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და პროთეზის (მისი არსებობის შემთხვევაში) დათვალიერება.

ანგარიშის ფარგლებში გაანალიზებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესზე დაკვირვებით, გამოიკვეთა პასუხისმგებელი ორგანოების მიერ აღსრულების რამდენიმე სტრუქტურა, რომლებიც შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე საქართველოს პარლამენტი თუ შესაბამისი სამინისტროები, საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, წინასწარ უზრუნველყოფდნენ სადავო კონსტიტუციური პრობლემის აღმოფხვრას. მსგავს შემთხვევებს განეკუთვნება ქვემოთ გაანალიზებული მე-6, მე-10, მე-12 და მე-16 საქმეები.
2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან მალევე ხდება მისი აღსრულება. ასეთია ქვემოთ განხილული მე-8 და მე-11 საქმეები.
3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებსაც არ სჭირდება ვინმეს მიერ აღსრულება - ისინი თვითაღსრულებადია. ასეთია ქვემოთ განხილული 1-ლი, მე-9 და მე-15 საქმეები.
4. საკონსტიტუციო სასამართლო, საკითხის მოწესრიგების სირთულის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების გარკვეული დროით გადავადებას უშვებს, თუმცა მისი აღსრულება ამ ვადის ფარგლებში არ ხდება. მსგავსია ქვემოთ განხილული მე-2 გადაწყვეტილება, რომელიც გადავადებული იყო 2.5 თვით, თუმცა პარლამენტმა ის 7 თვის შემდეგ ადასრულა. ასევე, მე-4 გადაწყვეტილება, რომელიც გადავადებული იყო 6 თვით, ხოლო პარლამენტმა ის 2 წლის შემდეგ ადასრულა.
5. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ ახდენს გადაწყვეტილების გადავადებას, მისი აღსრულება ხორციელდება არაგონივრულ პერიოდში, ან საერთოდ არ სრულდება. ასეთია ქვემოთ განხილული მე-3 გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 9 თვის შემდეგ ადასრულა, ასევე, მე-7 გადაწყვეტილება, რომლის გამოტანიდან 3.5 წელია გასული, თუმცა ჯერაც არ აღსრულებულა.
6. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა რეალურად არ ხდება გადაწყვეტილების აღსრულება. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა მე-13 და მე-14 საქმეებზე. კერძოდ, მართალია, კანონში შევიდა ცვლილება, თუმცა მიღებული ნორმა ისევ სადავო გახდა იმ მიზეზით, რომ ის კვლავ იმ შინაარსს შეიცავდა, რომელიც სასამართლომ ერთხელ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- გადაწყვეტილებები, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებას გადაავადებს, აღასრულონ ამ ვადის ფარგლებში.
- გადაწყვეტილებები, რომლებზეც სასამართლო არ გადაავადებს სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებას, აღასრულონ შემჭიდროებულ ვადებში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება სათანადოდ, რათა საჭირო აღარ გახდეს შემდგომი კონსტიტუციური სამართალწარმოება პრობლემის აღმოსაფხვრელად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- აღასრულოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის N1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე - ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ. ამ გადაწყვეტილებიდან 3 წელზე მეტია გასული, თუმცა ჯერაც არ აღსრულებულა. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულების დროს, სამართალდარღვევის პრევენციის მიზნით გარკვეული სამართალდამრღვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას, მხედველობაში მიიღოს სამართალდარღვევის ხასიათი, სიმძიმე და სოციალური საშიშროება. მონაცემთა შენახვის წესი განსაზღვროს არა ზოგადი ფორმით, არამედ სამართალდარღვევის ბუნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

დავის საგანი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში „სსსკ“) ნორმა, რომლითაც დაუშვებელი იყო ის მტკიცებულება, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევით იყო მოპოვებული. სხვა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება იყო დასაშვები. სადავო ნორმა⁴ გასაჩივრდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტთან მიმართებით (კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს).

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელის აზრით, გასაჩივრებული ნორმა (სიტყვები „ამ კოდექსის“) ავიწროებდა საქართველოს კონსტიტუციით მტკიცებულებათა დაუშვებლობის დამდგენ წესს და ქმნიდა სხვა საკანონმდებლო აქტების არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის შესაძლებლობას. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით, კანონის დარღვევით მტკიცებულების მოპოვება ეკრძალებოდათ როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს, ისე სხვა კერძო პირებს.

მოპასუხე: მოპასუხე მიუთითებდა, რომ ბრალდების მხარისთვის მტკიცებულებათა მოპოვების ძირითად წესს ადგენდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რის გამოც ყველა ძირითადი წესი, რომელზე დაყრდნობითაც მხარეები მტკიცებულებებს მოიპოვებდნენ, განსაზღვრული იყო აღნიშნული ნორმატიული აქტებით და მათი არსებითი დარღვევა მტკიცებულებათა დაუშვებლობას იწვევდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით გარანტირებული არ იყო ნებისმიერი კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლობა და სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას.

სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტზე საუბრისას აღნიშნა, რომ ამ მუხლში გამოყენებულ ტერმინს - „მტკიცებულების მოპოვება“ - ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობა ჰქონდა და იგი უნდა განმარტებულიყო საქართველოს კონსტიტუციის მიზნებიდან გამომდინარე. სასამართლოს თქმით, ამ კონსტიტუციური დებულებით დადგენილი გარანტია ემსახურებოდა მტკიცებულებების მოპოვებისას საკანონმდებლო პროცედურებისა და ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვის უზრუნველყოფას. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ იგი მოიცავდა ყველა იმ ურთიერთობას, რომელიც უკავშირდებოდა უფლებამოსილი ორგანოების მიერ ინფორმაციის შეგროვებას. თუ კონსტიტუციური დაცვა გავრცელდებოდა სისხლის სამართლის პროცესის მხოლოდ კონკრეტულ ეტაპსა ან სუბიექტებზე და არა - ყველა იმ სახელმწიფო ორგანოზე, რომელთაც მტკიცებულების მოპოვების უფლებამოსილება გააჩნდათ, წარმოიშობოდა თვითნებობისა და კონსტიტუციური გარანტიის არაეფექტიანობის საფრთხე.

საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიკვლია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის სიტყვები „ამ კოდექსის“.

არ ითვალისწინებდა „დასაშვები მტკიცებულების“ ცნებას და მხოლოდ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შემთხვევებს განსაზღვრავდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან დაუშვებლად ცხადდებოდა ამ კოდექსის დარღვევის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები და, ასევე, არსებობდა სხვა კანონის დარღვევით მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა, იქმნებოდა რეალური ალბათობა, რომ სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი საერთო სასამართლოს გამოყენებინა იმ შინაარსით, რომელსაც მოსარჩელე მხარე ხდიდა სადავოდ.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის მსგავსად, სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი უთითებდა სსსკ-ის არსებითი დარღვევით „მოპოვებულ“ მტკიცებულებებზე. გამოყენებული სიტყვების იდენტურობის მიუხედავად, სსსკ-ით გათვალისწინებულ „მოპოვებას“ კონსტიტუციისგან განსხვავებული საკანონმდებლო შინაარსი გააჩნდა. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ ჰქონდა იურიდიული ძალა იმის მიუხედავად, თუ რომელი სუბიექტის მიერ იყო იგი მოპოვებული და მტკიცებულების მოპოვების რა ეტაპზე არღვევდა შესაბამისი ორგანო კანონმდებლობის მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესის მწარმოებელ ორგანოს ექნებოდა შესაძლებლობა, თვითნებურად აერიდებინა თავი კანონმდებლობის მოთხოვნებისთვის, ინფორმაციის მოპოვების ღონისძიების ჩატარება მიენდო სხვა პირებისთვის და ამ გზით იურიდიული ძალა მიენიჭებინა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებისთვის, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით განმტკიცებული გარანტიის ქმედითობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 72-ე მუხლის სადავო სიტყვები არც კერძო პირების მხრიდან დანაშაულის ჩადენის გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას კრძალავდა. ამას არც ის გარემოება გამორიცხავდა, რომ ამ ინფორმაციის მოპოვებელი კერძო პირი პასუხისგებაში მიეცემოდა უკანონოდ მის მოსაპოვებლად ჩადენილი დანაშაულისთვის. შესაბამისად, სადავო ნორმის განმარტების პირობებში, არსებობდა კერძო პირის მიერ არაკანონიერი გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვების შესაძლებლობა, რაც ბრალდებულის უფლებებს არსებით ზიანს მიაყენებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ კანონმდებლობა შექმნიდა სამართალწარმოებაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, ეს წააქეზებდა კერძო პირებს, კანონმდებლობის მოთხოვნები უგულებელყოფო.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოქმედი კანონმდებლობა, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს კონსტიტუცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღმაც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის საქმეზე წარსადგენი მტკიცებულებების მოპოვების წესს, ხოლო სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ქმნიდა ზემოთ დასახელებული აქტების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, დადგინდეს გამონაკლისები და კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს მიენიჭოს იურიდიული ძალა, მაგრამ, ამის პარალელურად, ეს არ უნდა იწვევდეს პროცესის მონაწილეების ან/და მესამე პირების კონსტიტუციური უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას. საგამონაკლისო შემთხვევების განსაზღვრისას უნდა გამორიცხულიყო სახელმწიფო ორგანოების თვითნებობის წახალისებისა და ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვებისას კანონის გამიზნული და გაცნობიერებული დარღვევის საფრთხე და, ასეთი მტკიცებულებების საფუძველზე, ბრალდებულის მსჯავრდების შესაძლებლობა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

„ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.“

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე, 72-ე მუხლის პირველი პუნქტი გამოიყურება შემდეგნაირად:

„არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილიდან სიტყვების „ამ კოდექსის“ ამოღებამ უზრუნველყო მტკიცებულების დასაშვებობის წესის გავრცელება არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, არამედ ნებისმიერი კანონის დარღვევაზე აღნიშნული გადაწყვეტილება იყო თვითაღსრულებადი და არ საჭიროებდა დამატებით საკანონმდებლო ცვლილებებს.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის №1/3/1263 გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

დავის საგანი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სასამართლოსთვის მიმართვის უფლება). ამ საქმეში სადავო იყო გასაჩივრებული ნორმის იმგვარი ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე დადგენილების გასაჩივრების 10 დღიანი ვადა აითვლებოდა არა დადგენილების ჩაბარებიდან, არამედ სასამართლო სხდომაზე დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელის განმარტებით, სადავო ნორმის მიხედვით, სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების ვადის ათვლა ხდებოდა არა დადგენილების ჩაბარების, არამედ მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტიდან. ამასთან, სადავო ნორმა უშვებდა შესაძლებლობას, რომ სამართალდამრღვევად ცნობილ პირს დადგენილების სამოტივაციო ნაწილი ჩაჰბარებოდა გასაჩივრების 10 დღიანი ვადის გასვლის შემდგომ. ამგვარად, იქმნებოდა სიტუაცია, როდესაც სამართალდამრღვევად ცნობილ პირს დადგენილების გასაჩივრების უფლება უნდა გამოეყენებინა მაშინ, როდესაც არ იცოდა, რა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამო მოხდა სამართალდამრღვევად მისი ცნობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გაუშვებდა დადგენილების გასაჩივრებისთვის დადგენილ 10 დღიან ვადას. ამით ირღვეოდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილი (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

მოპასუხე: მოპასუხე მხარის განმარტებით, სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის სხდომაზე დასწრება სავალდებულოა. აქედან გამომდინარე, მისთვის ცნობილი იყო ის არგუმენტები, რომლებსაც შეიძლება დადგენილების გამოტანისას სასამართლო დაყრდნობოდა. შესაბამისად, მოპასუხის აზრით, არასწორი იყო აპელირება იმაზე, რომ მხარისთვის ცნობილი არ არის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები და მას არ შეუძლია დასაბუთებული საჩივრის წარდგენა. შესაბამისად, მოპასუხე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით დაცულ უფლებას.

სასამართლოს შეფასება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია ზემდგომ სასამართლოზე წვდომის უფლება, რაც ადამიანს იცავს პირველი ინსტანციის დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილებისგან.

საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეში წამოჭრილი პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით, იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად ქმნიდა სადავო ნორმა პრაქტიკაში გამოყენების დროს იმგვარ ნორმატიულ შინაარსს, რომელზეც მოსარჩელე მიუთითებდა. კანონმდებლობით განსაზღვრული წესისა და დადგენილი პრაქტიკის ანალიზის შემდეგ, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ არსებობდა ალბათობა, ისე გასულიყო გასაჩივრების 10 დღიანი ვადა, პირს მითითებულ ვადაში არ ჩაჰბარებოდა დასაბუთებული დადგენილება. ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ მხარისთვის პროცესზე დასწრება მას გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდა, თუ რა საფუძვლებს დაეყრდნო მოსამართლე დადგენილების გამოტანისას. მისი გა-

ნმარტებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მიმდინარეობისას სასამართლო არ აფიქსირებს თავის სამართლებრივ პოზიციას. შესაბამისად, დასაბუთებული დადგენილების გარეშე, შეუძლებელია, მხარეს სცოდნოდა, თუ რომელი არგუმენტები გაიზიარა სასამართლომ, ან რა ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს დააფუძნა პირის სამართალდამრღვევად ცნობის გადაწყვეტილება.

ადგილი ჰქონდა თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლებაში ჩარევას, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილების ჩაბარების ვადის დარღვევისას, პირს უწევდა, ჯერ ფორმალურად წარედგინა საჩივარი, ხოლო შემდეგ მისი არგუმენტირებული/დასაბუთებული ვერსია შეეტანა სასამართლოში, რაც, გარკვეულწილად, აფერხებდა გასაჩივრების უფლების ეფექტიან რეალიზებას და ქმნიდა ამ უფლებით სარგებლობის დამაბრკოლებელ დამატებით ბარიერს. აქედან გამომდინარე, სახეზე იყო გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორი, რომელიც პირს არ აძლევდა შესაძლებლობას, გასაჩივრების ვადის გასვლამდე გასცნობოდა დასაბუთებულ დადგენილებას და მისი შინაარსის მიხედვით გადაეწყვიტა, სურდა თუ არა გასაჩივრება და არგუმენტირებული/დასაბუთებული საჩივრის წარდგენა. **შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ იზღუდებოდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტი - ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით უფლების სრულყოფილად და ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობა.**

გადაწყვეტილების გადავადება

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ გამოტანილი დადგენილების გასაჩივრების ვადებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან, რიც შემთხვევებში, სწორედ ამ ვადის გასვლასთან იყო დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა სასამართლოს დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლა, მისი სამართლებრივი შედეგები და ა.შ. შესაბამისად, სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად ცნობას, შესაძლოა, დაეზიანებინა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესები.

ამის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცნადება გადაავადა 2019 წლის 1-ლ ივლისამდე. ამით, საქართველოს პარლამენტს მისცა შესაძლებლობა, საკითხი მოეწესრიგებინა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე, ამ კოდექსის 234¹ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, ეს ვადა, იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა).“

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოს პარლამენტმა, 2019 წლის 23 ოქტომბრის კანონით, სადავო ნორმა ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთ-

ვე, ამ კოდექსის 234¹ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისთვის შესაბამისი დადგენილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, ეს ვადა, იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია შესაბამისი დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა).“

ამდენად, საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების გასაჩივრების 10 დღიანი ვადა აითვლება დადგენილების ჩაბარებიდან და არა - მისი გამოტანიდან. ამით, სრულად აღსრულდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა ორთვე-ნახევრით. თუმცა, ამის მიუხედავად, საკანონმდებლო ცვლილება თითქმის 4 თვის დაგვიანებით განხორციელდა, რაც ნეგატიურად აისახა აღნიშნულ შუალედში გასაჩივრების უფლების გამოყენებაზე. საქართველოს პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანად აღსრულების გაჭიანურებამ გაურკვეველი გახადა, აღნიშნულ პერიოდში როგორ უნდა გასაჩივრებულიყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიჯაშვილი, გია ფაცურია და გ.გ. და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“⁵

დავის საგანი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები,⁶ რომელთა მიხედვით, პროკურორის დადგენილება პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულების არსებობისას არ ექვემდებარებოდა სასამართლოში გასაჩივრებას. აღნიშნული ნორმები ასევე აწესრიგებდა პროკურორის მიერ დაზარალებულად ცნობის თაობაზე დადგენილების გაუქმებისას პირის უფლებამოსილებას, გაესაჩივრებინა იგი ზემდგომ პროკურორთან, რომლის გადაწყვეტილებაც იყო საბოლოო, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისა. სადავო ნორმები გასაჩივრებული იყო კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სასამართლოსთვის მიმართვის უფლება) მიმართებით.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელის განმარტებით, პირის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებული იყო მრავალი საპროცესო უფლება. გასაჩივრების უფლების არქონა კი პროკურორს საშუალებას აძლევდა, ძალაუფლება გამოეყენებინა თვითნებურად, ვინაიდან არ არსებობდა სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც სადავო ნორმით რეგულირებულ საკითხზე მისი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, მოსარჩელეს ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის საქმეებზე პირის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით ზემდგომი პროკურორის უარის სასამართლოში გასაჩივრების შეუძლებლობა არაკონსტიტუციურად მიაჩნდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მოპასუხე: მოპასუხე მიუთითებდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა იმისგან დამოუკიდებლად, პირს ენიჭებოდა თუ არა დაზარალებულის სტატუსი. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებული არ წარმოადგენდა პროცესის მხარეს, მისი უფლებების აღდგენა დამოუკიდებელი არ იყო დაზარალებულად ცნობის ფაქტზე. ამგვარად, შედეგი, რომლის მიღწევის მოტივითაც პირს, შესაძლოა, ნდომებოდა დაზარალებულის სტატუსის მოპოვება და პროცესში მონაწილეობა, მიიღწეოდა იმისგან დამოუკიდებლად, ექნებოდა თუ არა მას ეს სტატუსი. ასევე, გასაჩივრების უფლებას გადაწონდა პროცესის ეკონომიურობის ინტერესი. ამის გამო, სადავო ნორმა შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

სასამართლოს განმარტება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზარალებულს, როგორც პირს, რომელსაც დანაშაულის შედეგად უშუალოდ მიადგა მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი, კანონმდებელი აღჭურავს გარკვეული უფლებებით. განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმა პირს უზღუდავდა პროკურორის იმ გადაწყვეტილების (დადგენილების) სასამართლოში გასაჩივრების უფლებას, რომლითაც მას არ ენიჭებოდა ან უუქმდებოდა დაზარალებულის სტატუსი. იმავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს პირის უფლებას, დაიცვას საკუთარი უფლებები ინსტიტუციურად და სისტემურად დამოუკიდე-

⁵ აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ გააერთიანა რამდენიმე სარჩელი. მათგან, საკონსტიტუციო სასამართლოში საია წარმოადგენდა გ. გ.

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადება და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება.

ბელ სასამართლო ორგანოში. ზემდგომ პროკურორთან და სასამართლო წესით გასაჩივრება არ წარმოადგენდა უფლების დაცვის იდენტურ საშუალებებს. შესაბამისად, ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა ვერ ჩაანაცვლებდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. შედეგად, სახეზე იყო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებაში ჩარევა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მოპასუხის მიერ დასახელებული შეზღუდვის მიზანი - პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფა და გადატვირთვისგან დაცვა - ღირებულ საჯარო ინტერესად მიიჩნია. ასევე აღნიშნა, რომ სადავოდ გამხდარი ნორმებით, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, სრულად იკრძალებოდა დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმისა და დაზარალებულის სტატუსის გაუქმების შესახებ პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. ეს კი ამცირებდა სასამართლოში განსახილველ საქმეთა რაოდენობას და, შედეგად, ხელს უწყობდა მის განტვირთვას. ამდენად, სადავო ნორმით გათვალისწინებული უფლების შემზღუდველი ღონისძიება დასახელებული მიზნის მიღწევის გამოსაღვე საშუალებას წარმოადგენდა. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იკვეთებოდა სხვა ნაკლებად მზღუდავი მექანიზმი, რომელიც იმავე ეფექტიანობით უზრუნველყოფდა სასამართლოს განტვირთვას, როგორც ამას გარკვეული კატეგორიის დანაშაულთან მიმართებით დაზარალებულთათვის გასაჩივრების აბსოლუტური აკრძალვა უზრუნველყოფდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული შემზღუდველი ღონისძიება აკმაყოფილებდა აუცილებლობის მოთხოვნებსაც. საბოლოოდ, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის დასადგენად სასამართლომ შეაფასა, რამდენად იყო ამ ნორმით დაწესებული შეზღუდვა პროპორციული საშუალება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ინტერესთა დაბალანსების შეფასებისას, მოსარჩელის ინტერესად დაასახელა ის უფლებები, რომლებიც დაკავშირებული იყო დაზარალებულის სტატუსის მიღებასთან. ასეთ უფლებებს წარმოადგენდა: საქმის მასალების გაცნობა და შესაბამისი საპროცესო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღება, განრიგების, მედიაციის, საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში მონაწილეობა, სისხლისსამართლებრივი ღირებულების შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრება და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები. არასრულწლოვანი დაზარალებულები დამატებით სარგებლობდნენ სხვა საპროცესო გარანტიებითაც (მაგალითად, უფასო იურიდიული დახმარება). მნიშვნელოვანი იყო იმის აღნიშვნაც, რომ ზემოთ დასახელებული უფლებებით პირი სარგებლობდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიპოვებდა დაზარალებულის სტატუსს. შესაბამისად, სადავო ნორმით გათვალისწინებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა დაზარალებულის შესაძლებლობას, ესარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით.

სასამართლომ განმარტა, რომ მეორე მხარეს არსებული საჯარო ინტერესის - პროცესის ეკონომიურობა და სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვა - შეფასებისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული საქმეთა განხილვის სირთულე და სიმრავლე, რათა მაქსიმალურად ზუსტად განსაზღვრულიყო ამ კატეგორიის საქმეებით სასამართლოს გადატვირთვის საფრთხე. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად დგინდებოდა დანაშაულის ფაქტისა და პირის მიმართ მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანის არსებობა. ამ საკითხის გადაწყვეტა, თავისი მნიშვნელობის მიუხედავად, როგორც წესი, არ გამოირჩეოდა კომპლექსურობით და ყველა შემთხვევაში სადავო არ ხდებოდა. შესაბამისად, საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, რომ განსაკუთრებით მაღალი იქნებოდა ამ კატეგორიის საქმეების განხილვის შედეგად სასამართლოს გადატვირთვის რისკი.

სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა შეეხებოდა ნებისმიერ მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულებს, რომლებსაც, თავის მხრივ, საკმაოდ მრავალრიცხოვანი დანაშაულის შემადგენლობა მიეკუთვნებოდა. მათი დიდი ნაწილი სერიოზულ მორალურ, ფიზიკურ თუ ქონებრივ ზიანს აყენებდა დაზარალებულს. ზიანის მოცულობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ უკანასკნე-

ლისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით ეფექტიანად სარგებლობის უზრუნველყოფას.

საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ სასამართლოს გადატვირთვაზე ზოგადი მითითება ვერ გაამართლებდა სადავო ნორმებით გათვალისწინებულ ბლანკეტურ შეზღუდვას და ისინი არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

„ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.“

ხოლო, ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად:

„ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.“

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ, კოდექსის მოქმედი რედაქციის 56-ე მუხლის მე-5 მუხლის მე-3 წინადადება ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

„თუ ზემდგომმა პროკურორმა საჩივარი არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.“

ამავე კოდექსის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება ამოღებულია. მართალია, საკანონმდებლო ცვლილებებმა სრულად აღმოფხვრა მოსარჩელის პრობლემა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 2018 წლის 14 დეკემბერს, ამასთან, არ მომხდარა მისი აღსრულების გადავადება, საქართველოს პარლამენტმა კი გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტები საკანონმდებლო დონეზე ასახა 2019 წლის 20 სექტემბრის კანონით, ანუ 9 თვის შემდეგ, რაც ვერ იქნება მიჩნეული საკანონმდებლო ცვლილებებისთვის საჭირო გონივრულ ვადად.

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

დავის საგანი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის იმ ნორმების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სამართლიანი სასამართლო), რომელთა მიხედვით, გამორიცხული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს ზოგიერთი დადგენილების გასაჩივრება სააპელაციო სასამართლოში.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელე მხარე განმარტავდა, რომ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელი იყო როგორც ზემდგომ ორგანოში, ისე რაიონულ სასამართლოში, მაგრამ არა – სააპელაციო სასამართლოში. ადმინისტრაციულ ორგანოში ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება ვერ იქნება სასამართლოში საქმისწარმოების ტოლფასი. ამის გათვალისწინებით, დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლება (გარკვეულ შემთხვევებში – ვალდებულება), სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის თვალსაზრისით, არ ამცირებდა ორ ინსტანციაში საქმის განხილვის საჭიროებას. ამასთან, ვინაიდან სადავო ნორმები მოსარჩელეს უკრძალავდა საქმის განხილვის შესაძლებლობას ორ ინსტანციაში, ისინი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

მოპასუხე: მოპასუხის მითითებით, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება ბევრად უფრო მსუბუქი ხასიათის ღონისძიებას წარმოადგენდა, ვიდრე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. შესაბამისად, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისას საქმის ერთ ინსტანციაში განხილვა სრულად აკმაყოფილებდა სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნებს. მოპასუხის პოზიციით, პირის უფლება, გაესაჩივრებინა მის წინააღმდეგ გამოტანილი დადგენილება ზემდგომ ორგანოს ან პირველი ინსტანციის სასამართლოში, წარმოადგენდა უფლების შესაძლო დარღვევის აღმოფხვრის ეფექტიან საშუალებას. შესაბამისად, სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

სასამართლოს განმარტება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავდა მისი დაცვის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული მართლმსაჯულების ინსტიტუციური გარანტიების, საერთო სასამართლოს სისტემის მეშვეობით. ეს, მათ შორის, გულისხმობდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას საერთო სასამართლოებში, ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ამავე სისტემის ზემდგომ ინსტანციაში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის სადავო სიტყვები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აცხადებდა საბოლოოდ, ზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებას.

წინამდებარე საქმეში მოპასუხის მიერ დასახელებულ ლეგიტიმური მიზნები იყო სწრაფი, ეფექტიანი მართლმსაჯულება, პროცესის ეკონომიურობა და გადატვირთვისგან სასამართლოს დაცვა. პირველი ლეგიტიმური მიზნის შესახებ სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის გასაჩივრების უფლების შეზღუდვა და მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებ-

ლობის სწრაფად დაკისრება ვერ განიხილებოდა, როგორც სწრაფი მართლმსაჯულების უფლებიდან მომდინარე მოთხოვნა. მოსარჩელისთვის გასაჩივრების უფლების მინიჭებით სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულება ვერ შეფერხდებოდა.

რაც შეეხება მეორე ლეგიტიმურ მიზანს, სასამართლომ აღნიშნა, რომ პროცესის ეკონომიურობა და სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვისგან დაცვა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს წარმოადგენდა, რომელთა გამოც დასაშვები იყო სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნათა დაცვით.

შეზღუდვის გამოსადეგობასა და აუცილებლობაზე მსჯელობისას სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმები სრულად კრძალავდა გარკვეულ ადმინისტრაციულ სახელებთან დაკავშირებით მიღებული დადგენილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. ამგვარი რეგულირება, ცხადია, ამცირებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა რაოდენობას და ხელს უწყობდა მის განტვირთვას. განსახილველ საქმეთა შემცირებით, მართლმსაჯულების განხორციელება მოითხოვდა უფრო ცოტა დროს და ასევე ცოტა ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსს. იმავდროულად, არ იკვეთებოდა უფლების ნაკლებად მზღუდავი რომელიმე ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც იმავე ეფექტიანობით უზრუნველყოფდა სასამართლოს განტვირთვას. აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო რეგულირება აკმაყოფილებდა გამოსადეგობის და აუცილებლობის მოთხოვნებს.

შეზღუდვის პროპორციულობაზე მსჯელობისას სასამართლომ განიხილა დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის სამართლიანი ბალანსის საკითხი და განმარტა, რომ გასაჩივრების უფლების არსებობას უმთავრესად ორი მიზანი ჰქონდა: 1. ქვედა ინსტანციის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება; 2. კანონის განმარტებისა და გამოყენების ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვის პროპორციულობა სამართლიანი სასამართლოს თითოეულ მიზანთან მიმართებით ცალ-ცალკე შეაფასა.

1. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება დაშვებული შეცდომების გასწორების მიზნით

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას პრაქტიკულად შეუძლებელია საქმის არასწორად გადაწყვეტის, შეცდომის დაშვების რისკის აბსოლუტურად გამორიცხვა. გასაჩივრების უფლება ამცირებს ამ რისკებს და ზრდის მოსარჩელის განცდას, რომ მისი საქმე სამართლიანად გადაწყდა. იმავდროულად, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა სასამართლოს გადატვირთულობა, რაც პირდაპირ გავლენას ახდენდა სასამართლოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, კანონმდებელი უფლებამოსილი იყო, შეეზღუდა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ორ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადამოწმების განსაკუთრებული ინტერესი არ გააჩნდა. სასამართლოს მითითებით, რაც უფრო ინტენსიური იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან მომდინარე უფლების შეზღუდვა, მით უფრო მაღალი იყო ხსენებული გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების ინტერესი. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად შეეხებოდა სადავო ნორმით მოწესრიგებული შემთხვევები უფლების იმდენად ინტენსიურ შეზღუდვას, რომ პირისთვის ორი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის მინიჭება აუცილებლობას წარმოადგენდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალდარღვევის სიმძიმე უნდა განსაზღვრულიყო შესაბამისი ქმედებისთვის დადგენილი პასუხისმგებლობის ზომით. კერძოდ, პასუხისმგებლობის სიმკაცრე პირდაპირ იყო დაკავშირებული ქმედების გასაკიცხაობის ხარისხთან. ამასთან, სამართალდამრღვევ პირად ცნობის შედეგად, ადამიანზე ზემოქმედება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მის მიმართ გამოყენებული სანქციის მოცულობით. სანქციისგან დამოუკიდებლად (მათ შორის, იმ

შემთხვევაში, როდესაც სანქცია საერთოდ არ გამოიყენებოდა), პირის სამართალდამრღვევად ცნობა უკავშირდებოდა მის გაკიცხვას, რაც ასევე წარმოადგენდა ზემოქმედების ფორმას. ამდენად, პირის მიმართ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული სანქციის მოცულობა არ იძლეოდა სრულ სურათს მისი უფლებების შეზღუდვის სიმძიმის წარმოსაჩენად. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებთან მიმართებით გასაჩივრების ინტერესს, უპირველესად, განსაზღვრავდა არა პირის მიმართ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული სანქციის მოცულობა, არამედ იმ სამართალდარღვევის სიმძიმე, რომლის ჩადენასაც მას ედავებოდნენ. კერძოდ, თუ მაღალი იყო მართლსაწინააღმდეგო ქმედების გაკიცხვის ხარისხი, პირს გააჩნდა შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრების მომეტებული სამართლებრივი ინტერესი.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახდელის სახით თავისუფლების აღკვეთის გათვალისწინება, თავისთავად, მიუთითებდა სამართალდარღვევის სიმძიმეზე. ამდენად, ქმედება, რომლისთვისაც პასუხისმგებლობის სახით გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა, მძიმე სამართალდარღვევას წარმოადგენდა. შესაბამისად, არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების მომეტებული ინტერესი იმ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომელთათვისაც სახდელის სახით გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება ხდებოდა სასამართლოს მიერ, შესაბამისად, იგი საჩივრდებოდა სააპელაციო წესით და არ ექცეოდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის რეგულირების სფეროში. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდარღვევა, პატიმრობის გარდა, სხვა სახდელსაც ითვალისწინებდა და პირს პატიმრობისგან განსხვავებული სახდელი დაეკისრებოდა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო, თავად გადაეწყვიტა სანქციის გამოყენების საკითხი ისე, რომ საქმე განსახილველად სასამართლოში არ გადაგზავნილიყო. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული დადგენილება საჩივრდებოდა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის საქმის ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლების აკრძალვა, თუნდაც პირს პატიმრობის ნაცვლად სხვა სახდელი ჰქონოდა შეფარებული, ცნო შეუსაბამოდ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

ამ საქმეში ასევე მოთხოვნილი იყო იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლითაც სააპელაციო სასამართლოში ვერ გასაჩივრდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს (თანამდებობის პირის) დადგენილება ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის შესახებ. ამ შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო აღნიშნული დადგენილების გატოლება პირისთვის მძიმე სამართალდარღვევის ჩადენაში პასუხისმგებლობის დაკისრებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ სახდელის შეცვლას ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება ვერ მოჰყვებოდა. ასევე, მას მძიმე სამართალდარღვევასთან ვერ გაათანაბრებდა ის ფაქტი, რომ სახდელს ცვლიდნენ ისეთი სამართალდარღვევის ჩადენისთვის, რომელიც პატიმრობასაც ითვალისწინებდა. სახდელის შეცვლის წარმოებას თან არ სდევდა მაღალი ხარისხის გაკიცხვა და არც მოსალოდნელი სანქცია მიუთითებდა უფლების ინტენსიურ შეზღუდვაზე. აქედან გამომდინარე, სახდელის შეცვლის წარმოებასთან დაკავშირებით არ იკვეთებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მომეტებული ინტერესი. შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ამ საქმეში მოსარჩელე ასევე დავობდა, რომ გასაჩივრებული ნორმა გამორიცხავდა საურავის დარიცხვის შესახებ შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილების კანონიერებასთან დაკავშირებით მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაშიც სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად აკისრებდა პირს პასუხისმგებლობას ხსენებული დადგენილება მძიმე სამართალდარღვევის ჩადენისთვის.

სასამართლომ დაადგინა, რომ საურავი იყო პასუხისმგებლობის ზომა დაკისრებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისთვის. მიუხედავად ამისა, საურავი ყოველთვის მიმართული იყო სამართალდამრღვევად ცნობილი პირისთვის ფულადი ვალდებულების დაწესებისკენ და, თავისი არსით, ფინანსურ ტვირთს წარმოადგენდა. შეუძლებელია, საურავის დაკისრების წარმოებას მოჰყოლოდა ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება. ქონებრივი სანქციის არსებობა, თავისთავად, არ მიუთითებდა სამართალდარღვევის სიმძიმეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი არც ამ ნაწილში დაკმაყოფილდა.

2. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობისას

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოების რაოდენობის გათვალისწინებით, არსებობდა გამოსაყენებელი კანონის ნორმების შინაარსის არსებითად განსხვავებულად განმარტებისა და არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების რეალური ალბათობა. ასეთ პირობებში კი სააპელაციო წესით გასაჩივრება არა მხოლოდ კონკრეტული პირის უფლების დაცვას, არამედ, ასევე, სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურებოდა. ეს გარემოება, მსგავს შემთხვევებში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების მომეტებული ინტერესის არსებობას განაპირობებდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ აპელაციის დაუშვებლობა იმ პირობებში, როდესაც ერთი ინსტანციის სასამართლოები ნორმებს განსხვავებულად განმარტავენ, სააპელაციო მექანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციაზე უარის თქმას უთანაბრდებოდა. ამ პირობებში, ფაქტობრივად, იქმნებოდა კანონის განმარტებისა და გამოყენების კრიზისული სიტუაცია, რომლის გამოსწორების ყველაზე ეფექტურ გზას აპელაცია წარმოადგენდა. სასამართლოს გადატვირთულობისგან დაცვის არგუმენტი ვერ გაამართლებდა გასაჩივრების შეზღუდვას მაშინ, როდესაც ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები, იმ ნაწილში, რომელიც პირს ართმევდა შესაძლებლობას, სააპელაციო სასამართლოში გაესაჩივრებინა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილება, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოთა განმარტებები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, არღვევდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადების გადავადება

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმების დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადებას მოჰყვებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე გასაჩივრების წესის მყისიერი ცვლილება. კერძოდ, სრულად გაუქმდებოდა სააპელაციო სასამართლოსთვის მიმართვის შეზღუდვა, რასაც, შესაძლოა, გამოეწვია მათი სერიოზული გადატვირთვა და საფრთხე შექმნოდა დასახელებულ ლეგიტიმურ ინტერესებს. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა უნდა გადავადებულიყო 2019 წლის 31 მარტამდე, რათა საქართველოს პარლამენტს მისცემოდა შესაძლებლობა, საკითხი მოეწესრიგებინა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის სადავო ნორმები ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი:

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გასაჩივრდეს ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე, ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; გადაწყვეტილება სხვაგვარი ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან), რის შემდეგაც საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; დადგენილება ძირითადი და რომელიმე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის ერთდროულად დადების შესახებ მომჩივნის სურვილით შეიძლება გასაჩივრდეს ძირითადი ან დამატებითი სახდელის გასაჩივრებისთვის განსაზღვრული წესით“.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი:

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გასაჩივრდეს შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის შესახებ – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი:

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გასაჩივრდეს შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება საურავის დარიცხვის შესახებ – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, 2020 წლის 22 მაისს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საქართველოს პარლამენტმა შეიტანა საკანონმდებლო ცვლილებები. შედეგად, პირველი ინსტანციის დადგენილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრება შესაძლებელი გახდა ყველა იმ სამართალდარღვევაზე, რომელიც სახდელის სახით ითვალისწინებს პატიმრობის გამოყენებას.⁷ ამასთან, შემუშავდა სააპელაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში საჩივარი დასაშვებია, თუ: ა) ილენტურ სამართლებრივ საკითხზე არ არსებობს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა; ბ) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ილენტურ სამართლებრივ საკითხზე შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკისგან; გ) ამ საჩივრის განხილვის შედეგად სავარაუდოა მოცემულ საქმეზე ილენტურ სამართლებრივ საკითხზე შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაფართოვდა სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა იმ სამართალდარღვევებზე, რომლებიც სახდელის სახედ პატიმრობას ითვალისწინებს, ასევე, განისაზღვრა სააპელაციო სასამართლოში სარჩელის დასაშვებობის მკაფიო კრიტერიუმები. აღნიშნული ცვლილებები პოზიტიურად უნდა შეფასდეს. პრობლემურია ის, რომ გადაწყვეტილება მისი გამოტანიდან 2 წლის შემდეგ აღსრულდა.

⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“¹ ქვეპუნქტი.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბენიკ ქათამაძე, დავით მუავანაძე და ილია გალაგონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

სადავო ნორმა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კრძალავს შენობის ფასაღზე ბანერის დროებით განთავსებას – საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) პირველი პუნქტის პირველ წინადადებასა და მე-5 პუნქტთან მიმართებით.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელის განმარტებით, პრობლემური იყო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კრძალავდა საპროტესტო ბანერის სპონტანურად და ხანმოკლე ვადით განთავსებას კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტზე მაშინ, როცა თავად მესაკუთრე ამაზე თანხმობას აცხადებდა. ასევე, დავის საგანს წარმოადგენდა საკრებულოს წევრის მიერ მისთვის სამუშაოდ გამოყოფილი სივრცის ფასაღზე იმავე ქმედების აკრძალვა. მოსარჩელეთა აზრით, მართალია, სადავო ნორმით არ ხდებოდა გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ ასპექტში ჩარევა და შეზღუდვა ეხებოდა მხოლოდ გამოხატვის მანერასა და ადგილს, იგი არაკონსტიტუციური იყო, ვინაიდან აბსოლუტურად გამორიცხავდა სპონტანური პროტესტის შესაძლებლობას.

მოპასუხე: მოპასუხე მხარის აზრით, სადავო ნორმა არ აწესებდა ზოგად აკრძალვას გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით. მისი განმარტებით, ინდივიდებს არ გააჩნიათ საჯარო სივრცით უპირობო და თავისუფალი სარგებლობის უფლება. ამასთან, სადავო ნორმა ზღუდავდა გამოხატვის მხოლოდ ერთ ფორმას და არ ვრცელდებოდა კომუნიკაციის ალტერნატიულ ფორმებზე, მათ შორის, ელექტრონული საშუალებებით, მედიით, საფოსტო ყუთებით ან სხვა გზებით აზრის გავრცელებაზე. შესაბამისად, მოპასუხე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლს.

გადაწყვეტილების დასაბუთება

საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად იწვევდა კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას შენობის ფასაღზე ნებართვის გარეშე ბანერების სპონტანურად და ხანმოკლე ვადით განთავსების აკრძალვა. სასამართლოს განმარტებით, კერძო, სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე ვიზუალური საშუალებების გამოფენა ექვეოდა გამოხატვის თავისუფლებით დაცული უფლების ფარგლებში. ამასთან, ვინაიდან სადავო ნორმა ზღუდავდა პირის შესაძლებლობას, სპონტანური პროტესტის პირობებში შენობის ფასაღზე სხვადასხვა ბანერის განთავსებით გამოეხატა საკუთარი პოზიცია კონკრეტული მოვლენის შესახებ, სადავო ნორმა იწვევდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. ხოლო იმის დასადგენად, თუ რამდენად იყო უფლებაში ჩარევა გამართლებული, სასამართლომ სადავო ნორმა თანაზომიერების ტესტით შეაფასა.

სასამართლოს აზრით, სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა შენობა-ნაგებობათა იერსახის დამახინჯების თავიდან აცილება.

იმის გასარკვევად, სადავო ნორმა იყო თუ არა გამოსადეგი საშუალება, სასამართლოს უნდა დაედგინა, რამდენად არსებობდა ლოგიკური კავშირი საქართველოს პარლამენტის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმით დადგენილი უფლების შეზღუდვის ფორმას შორის. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში შენობა-ნაგებო-

ბებსა და სხვა ობიექტებზე ვიზუალური საშუალებების სპონტანური განთავსების აკრძალვა ამცირებდა მუნიციპალიტეტის იერსახის შეცვლის საფრთხეს, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა იყო მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება.

საკონსტიტუციო სასამართლომ თანაზომიერების ტესტის შემდეგ ეტაპზე იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა სადავო ნორმიდან მომდინარე შემზღვევლი ღონისძიება ყველაზე ნაკლებად მზღვრავ საშუალებას. მოსარჩელე მხარე მიუთითებდა ალტერნატიული რეგულირების შესაძლებლობაზე, რომლის ფარგლებშიც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა მომხდარიყო არა ვიზუალური საშუალების არასათანადო ადგილზე განთავსების მომენტიდან, არამედ მას შემდეგ, რაც შესაბამისი თანამდებობის პირი დამრღვევს მისცემდა გაფრთხილებას ბანერის აღების თაობაზე და სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად გონივრულ ვადას განუსაზღვრავდა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ დასახელებული ალტერნატიული რეგულირება იქნებოდა მიზნის მიღწევის იმავე ეფექტიანობის მქონე საშუალება. მისი განმარტებით, შენობა-ნაგებობისა და მუნიციპალიტეტის იერსახის შენარჩუნების უზრუნველყოფის ინტერესი იმ მომენტიდან იზღუდებოდა, როდესაც პირი სადავო ნორმით აკრძალულ ქმედებას ჩაიდენდა – განთავსებდა ვიზუალურ საშუალებას. ალტერნატიული რეგულირების შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადის დაწესებისას, სწორედ ამ ვადის განმავლობაში იარსებებდა მუნიციპალიტეტის იერსახის დაზიანების რისკი. ამდენად, ალტერნატიული რეგულირება ვერ უზრუნველყოფდა მიზნის მიღწევას იმავე ეფექტიანობით. შესაბამისად, სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება ლეგიტიმური ინტერესის დაცვის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენდა.

თანაზომიერების ტესტის ბოლო ეტაპზე სასამართლოს უნდა შეეფასებინა, ერთმანეთთან შეპირისპირებული ორი სამართლებრივი სიკეთიდან რომლის დაცვა წარმოადგენდა სამართლიან ბალანსს. ამასთან, განსაკუთრებული სპეციფიკიდან გამომდინარე, ბალანსის სამართლიანობა სასამართლომ კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტებსა და საჯარო დაწესებულებებთან (საკრებულოს შენობა) მიმართებით ცალ-ცალკე შეაფასა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტზე სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი ვიზუალური საშუალებების განთავსება ხდებოდა მესაკუთრის მიერ ან მისი თანხმობით. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციას თან არ ახლდა სხვა პირების საკუთრების უფლების შეზღუდვა. სასამართლომ იმსჯელა სპონტანური პროტესტის მნიშვნელობაზეც და აღნიშნა, რომ ზოგჯერ პროტესტის მწვავე ფორმით გამოხატვა ხელისუფლების ან/და საზოგადოების ყურადღების მიპყრობის ერთადერთი ან ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. ამიტომ, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, საზოგადოებრივი რეაგირების დაყოვნება სრულიად უშედეგო აღმოჩნდეს დასახული მიზნების მისაღწევად და მთლიანად დაეკარგოს მას აზრი. ამასთან, მოპასუხის მიერ მითითებული ალტერნატიული, თუნდაც უფრო ფართომასშტაბიანი, კომუნიკაციის საშუალებები ვერ ჩაანაცვლებდა ვიზუალური მასალის კერძო საკუთრების ფასადზე განთავსებას და ამ გზით გამოხატვის თავისუფლების რეალიზებას. სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ბანერი არ ტოვებდა ხანგრძლივ და წარუშლელ კვალს შენობაზე. გარდა ამისა, სპონტანური პროტესტის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის იერსახის ცვლილება ხდებოდა მხოლოდ ხანმოკლე ვადით, პროტესტის მიმდინარეობისას, რომლის დასრულების შემდეგ ის პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე ვიზუალური საშუალებების განთავსებით გამოხატვის თავისუფლების საპირწონე ვერ იქნებოდა ამა თუ იმ შენობა-ნაგებობისა და მუნიციპალიტეტის იერსახის ხანმოკლე და დროებითი სახეცვლილება. შესაბამისად, სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომლიც გამორიცხავდა კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტზე მესაკუთრის მიერ ან მისი თანხმობით პლაკატების, ლოზუნგებისა და ბანერების დროებით განთავსებას სპონტანური საპროტესტო აქციის ფარგლებში, არათანაზომიერად ზღუდავდა გამოხატვის თავისუფლებას და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტს.

სასამართლომ თანაზომიერების ტესტით შეაფასა ასევე სადავო ნორმიდან მომდინარე მეორე ნორმატიული შინაარსი, რომელიც საკრებულოს წევრის მიერ მისთვის სამსახურებრივი სარგებლობისათვის გადაცემული შენობის ნაწილის ფასადზე ბანერის განთავსებას კრძალავდა. სასამართლოს უნდა გაერკვია, რა ურთიერთმიმართება არსებობდა საკრებულოს წევრის გამონატვის თავისუფლებასა და საკრებულოს შენობის ფასადის იერსახის შეცვლით მიყენებულ ზიანს შორის. საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ისეთი გარემოებები, როგორცაა: საკრებულოს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სპეციფიკა, მისი წევრების სტატუსი და ინტერესი, ისარგებლონ გამონატვის თავისუფლებით, აგრეთვე, საკრებულოს შენობის ფასადის დაცვის მნიშვნელობა მუნიციპალიტეტის იერსახისთვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, როგორც ხალხის წარმომადგენლები, აქტიურად არიან ჩართულნი პოლიტიკურ პროცესებში, რის გამოც სიტყვის თავისუფლების დაცულობის ფარგლები მათ მიმართ განსაკუთრებით დიდია. კერძო საკუთრებაში არსებული შენობის ფასადზე სხვადასხვა ვიზუალური მასალის განთავსებისგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში, გამონატვის თავისუფლების შეზღუდვა უკავშირდებოდა სპეციფიკურ ობიექტს – საკრებულოს შენობას. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი მიიჩნევა, როგორც მუნიციპალიტეტის სიმბოლო, რომლის იერსახის დაცვასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. გარდა ამისა, სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვა იყო ინტენსიური, ვინაიდან, ცალკეულ შემთხვევებში, გამორიცხავდა საკრებულოს წევრის მიერ, სპონტანური პროტესტის ფარგლებში, კონკრეტული ფორმით გამონატვის თავისუფლების ეფექტიან რეალიზებას. ამასთან, კერძო მესაკუთრის მიერ ან მისი თანხმობით კუთვნილი შენობა-ნაგებობით სარგებლობისგან განსხვავებით, საკრებულოს წევრს არ ჰქონდა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოების თანხმობა შენობის ფასადზე რაიმე ობიექტის, მათ შორის, ვიზუალური საშუალებების განთავსებასთან დაკავშირებით.

სასამართლოს აზრით, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს შენობის ფასადზე ამა თუ იმ ობიექტის უნებართვოდ განთავსება არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის იერსახის სახეცვლილებას იწვევს, არამედ აფერხებს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი ორგანოების შესაძლებლობას, სათანადოდ, თვითმმართველობის საჭიროებების გათვალისწინებით გამოიყენონ მისი ქონება, მათ შორის, საკრებულოს შენობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმით კერძო და საჯარო ინტერესებს შორის დადგენილი ბალანსი არ იყო უსამართლო. შესაბამისად, სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კრძალავდა ვიზუალური საშუალებების სპონტანურად და ხანმოკლე ვადით განთავსებას საკრებულოს წევრის მიერ მისთვის სამუშაოდ გამოყოფილი სივრცის ფასადზე, არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებას და მე-5 პუნქტს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით და თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯებად ითვლებოდა:

„სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება.“

სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილის ქვემოთ გაკეთდა წარწერა: არაკონსტიტუციურად გამოცხადდა 150-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი“ ის ნორმატი-

ული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს მესაკუთრის მიერ ან მესაკუთრის თანხმობით პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების, სპონტანური საპროტესტო აქციის ფარგლებში, ხანმოკლე ვადით, დროებითი განთავსების შესაძლებლობას ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად გამოცხადდა. საკონსტიტუციო სამართლოს გადაწყვეტილება იყო თვითაღსრულებადი და მას დამატებითი საკანონმდებლო რეგულაცია არ დასჭირვებია.

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის №3/9/682 საოქმო ჩანაწერი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/4/682 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ღვთის საგანი

ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ემოციური კავშირის მქონე არანათესავ პირს ორგანოთა დონორების წრიდან გამორიცხავდა. სადავო ნორმა გასაჩივრდა საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან (სიცოცხლის უფლება) მიმართებით.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელე განმარტავდა, რომ კანონით განსაზღვრულ ნათესავ პირთა წრიდან, სამედიცინო თვალსაზრისით, მისთვის არ აღმოჩნდა ორგანოთა არც ერთი შესაფერისი დონორი. სადავო ნორმა ადგენს იმ პირთა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ ადამიანის ორგანოს დონორები. ამ ჩამონათვალის მიღმა, მომჩივანს არ ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო ორგანოს დონორობა იმ პირისგან, რომელთანაც, მართალია, არ ჰქონდა ნათესაური ურთიერთობა, თუმცა ჰქონდა ემოციური კავშირი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებით დაცულ სიცოცხლის უფლებას.

მოსარჩელე ასევე მიუთითებდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დროებით უნდა შეეჩერებინა სადავო ნორმის მოქმედება, ვინაიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. შესაბამისად, შესაძლოა, თითოეული დღე გადამწყვეტი ყოფილიყო მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. გარდა ამისა, მოსარჩელე განმარტავდა, რომ კანონმდებლობა არანაირ სამართლებრივ მექანიზმს არ ითვალისწინებდა გამოუსწორებელი შედეგის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, სადავო ნორმის შეჩერებით არ მოხდებოდა სხვათა უფლებების დარღვევა, რადგან ის ეხებოდა პირთა ვიწრო წრეს და ვერ დაარღვევდა საჯარო წესრიგს.

მოსარჩელე მოითხოვდა სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის შეჩერებას, რომელიც კრძალავდა დონორის მოძიებას ემოციური კავშირის მქონე პირთაგან.

მოპასუხე: გამწესრიგებელ სხდომაზე მოპასუხე მხარე დაეთანხმა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც ესაჭიროებოდათ ორგანოს გადანერგვა და არ ჰყავდათ გადანერგვისთვის შესაფერისი, სადავო ნორმაში მითითებული, ნათესავი. ამასთან, მოპასუხემ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება შესაძლებლად მიიჩნია მხოლოდ იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც კრძალავდა სადავო ნორმაში მითითებული პირების აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავების ცოცხალ დონორად ყოფნას.

საოქმო ჩანაწერის დასაბუთება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 15 ნოემბრის საოქმო ჩანაწერით არსებითად მიიღო საქმე და, ასევე, შეაჩერა სადავო ნორმის მოქმედება.

სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმის შეჩერება წარმოადგენდა საკონსტიტუციო სამართალწარმოების უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფდა მოსარჩელის უფლებების პრევენციულ დაცვას იმ შემთხვევაში, თუ არსებობდა საფრთხე, რომ ნორმის მოქმედებას შესაძლოა მისთვის გამოუსწორებელი შედეგი მოეტანა. აღნიშნული გულისხმობდა ისეთ

სამართლებრივ რეალობას, როდესაც სადავო ნორმის მოქმედებას შეეძლო გამოეწვია უფლების შეუქცევადი დარღვევა, რომლის გამოსწორება შეუძლებელი იქნებოდა შემდგომში არაკონსტიტუციურად მისი ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს არ უნდა ჰქონოდა აღნიშნული შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა. სადავო ნორმის შეჩერებით დაცული ინტერესი უნდა აღემატებოდეს სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე მისი მდგომარეობა გაუარესდებოდა. უფრო მეტიც, სადავო ნორმის მოქმედების გაგრძელებას, შესაძლოა, მათ შორის, მოსარჩელის გარდაცვალება გამოეწვია.

სასამართლომ გაითვალისწინა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი, დონორთა წრის გაფართოების შემთხვევაში, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის საფრთხის შესახებ. თუმცა, იმავდროულად, განმარტა, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება არ იწვევდა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ლეგალიზებას და მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა მისი პრევენციის არაერთ სხვა მექანიზმს. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების პირობებში, მართალია, შესაძლებელი იყო აღნიშნული რისკების ზრდა, რაც მასთან ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფოს მეტ ძალისხმევას საჭიროებდა, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა ამ კუთხით სხვა ქმედით მექანიზმებსაც ითვალისწინებდა, რასაც დონორის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა უნდა უზრუნველყო.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმის მოქმედებას შეეძლებოდა გამოეწვია მოსარჩელის ჯანმრთელობის შეუქცევადი გაუარესება, მათ შორის, გარდაცვალება. არსებული საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება არ ქმნიდა ისეთ საფრთხეს, რის გამოც ობიექტურ დამკვირვებელს, შესაძლოა, ეფიქრა, რომ სადავო ნორმის მოქმედების საჯარო ინტერესი აღემატებოდა მოსარჩელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესს. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა და შეაჩერა სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რომელიც ცოცხალ დონორთა წრიდან გამორიცხავდა რეციპიენტთან ემოციურ კავშირში მყოფ პირს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით შეწყვიტა ლევან გვათუას საქმე.

2016 წლის 24 ივნისს „ადამიანის ორგანოების გადანერგვის“ შესახებ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატა „ბ.დ“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც, შესაძლებელი გახდა გადანერგვის მიზნით ორგანოს აღება რეციპიენტთან ახლო პირად ურთიერთობაში მყოფი პირისგან, თუ ცოცხალი დონორი ამ მუხლში ჩამოთვლილ ნათესავთა შორის არ მოიძებნებოდა, ამასთან, თუ არ არსებობდა რეციპიენტის სიცოცხლის შენარჩუნების, მისი მძიმე ავადმყოფობისგან განკურნების, დაავადების პროგრესირების შეჩერების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის საჭირო მკურნალობის ალტერნატიული ხელმისაწვდომი მეთოდი. „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ა¹ ქვეპუნქტით კი განისაზღვრა რეციპიენტთან ახლო პირადი ურთიერთობის მქონე პირის ცნება, რომელიც გულისხმობდა რეციპიენტთან არანაკლებ 2 წლის განმავლობაში ახლო და სტაბილური ემოციური კავშირის მქონე პირს. აქედან გამომდინარე, კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პირთა წრე, რომელთაგანაც დასაშვები იყო ცოცხალი დონაციის ფარგლებში ორგანოს აღება, გაიზარდა და მან, ნათესაურის გარდა, ემოციური კავშირის მქონე პირებიც მოიცვა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელსაც მოსარჩელე პრობლემურად მიიჩნევდა, აღარ არსებობდა და შეწყვიტა საქმის წარმოება.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე „ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“

დავის საგანი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1-ლი მარტის №271 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის უვალოდ შენახვას ითვალისწინებდა, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) და მე-15 (პირადი ცხოვრების უფლება) მუხლებთან მიმართებით.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელის განმარტებით, სადავო ნორმა ინდივიდს არ აძლევდა შესაძლებლობას, მოეთხოვა წარსულში მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის განადგურება. ამის გამო სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა პიროვნული თავისუფლების უფლებას. ამასთან, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა პირადი ცხოვრების უფლებასაც, რადგან სახელმწიფოს მიერ უფლებაში ჩარევა ხდებოდა მუდმივად და არა – დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

მოპასუხე: მოპასუხის პოზიციით, მართალია, სადავო ნორმა ითვალისწინებდა პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას, თუმცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის შენახვის მუდმივობა მნიშვნელოვანი იყო სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის ფაქტზე რეაგირებისთვის. სადავო ნორმა მიზნად ისახავდა საჯარო ინტერესს – არსებულ მონაცემთა განზოგადებას, სავარაუდო რისკებისა და საფრთხეების გამოკვეთასა და ძირითადი კანონსაწინააღმდეგო ტენდენციების გამოვლენას, რაზეც სახელმწიფოს უნდა დაეფუძნებინა რეაგირების სტრატეგია. აქედან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-12 და მე-15 მუხლებს.

გადაწყვეტილების დასაბუთება

1. სადავო ნორმის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლთან მიმართებით

საკონსტიტუციო სასამართლომ შეამოწმა, სადავო ნორმის მოქმედების პირობებში ხდებოდა თუ არა მოსარჩელის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა. სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული იყო პირადი ცხოვრების ისეთი უფლებრივი კომპონენტები, რომლებიც პირს იცავდა სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის შეგროვების, ფარული მიყურადების, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის ან/და პირადი ჩხრეკის გაუმართლებლად განხორციელებისგან. ამასთან, სადავო ნორმა ადგენდა სახელმწიფოს უფლებამოსილებას, შეენახა ინფორმაცია პირის შესახებ და არ ქმნიდა პირის კერძო სივრცეში ჩარევის, პირადი კომუნიკაციის ინფორმაციაზე წვდომის საკანონმდებლო საფუძველს. რაც შეეხება, უშუალოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, ის სცდებოდა სადავო ნორმის მოწესრიგების სფეროს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო რეგულირება არ ატარებდა შემზღვეველ ხასიათს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლების მიმართ. შესაბამისად, ის არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლს.

2. სადავო ნორმის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ უფლებებზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ ამ უფლებას ჰქონდა შემავსებელი ფუნქცია და ითვალისწინებდა პიროვნების თავისუფალი განვითარების უზოგადესი უფლების ისეთ ასპექტებს, რომლებიც არ იყო დაცული კონსტიტუციის სხვა მუხლებით. სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნებისმიერი წესი, რომელიც პიროვნების ინდივიდუალურ განვითარებას, მისი ქმედებების ავტონომიურობას ან პიროვნების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების, მისი არჩევანის შესაბამისად განსაზღვრის პრინციპს ზღუდავდა, განიხილებოდა საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ადამიანის პიროვნულ განვითარებასთან მიმართებით. ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა, რომელიც სახელმწიფოს მიერ უკვე მოპოვებული პერსონალური მონაცემების შენახვას არეგულირებდა, არ ზღუდავდა კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ უფლებას, შესაბამისად, პირადი ცხოვრების კომპონენტი, რომელიც ზღუდავდა სახელმწიფოს შესაძლებლობას, შეენახა პირის შესახებ ინფორმაცია, დაცული იყო სწორედ კონსტიტუციის მე-12 მუხლით. ამასთან, ვინაიდან ამ ინფორმაციის შენახვა ხდებოდა მუდმივად, როგორც მონაცემთა სუბიექტის სიცოცხლის მანძილზე, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ, სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და შენახვა საყურადღებო ქმედით ინსტრუმენტს წარმოადგენდა. თუმცა, ამის მიუხედავად, მართლწესრიგის დაცვის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულებისას, სახელმწიფო არ მოქმედებდა შეუზღუდავად.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი წესით, თუ ადმინისტრაციულ სახელდადებული პირი სახელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენდა ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იგი ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ სახელდაუდებლად. აღნიშნული მოწესრიგება ჩადენილი გადაცდომისთვის პასუხისგების შემდგომ პირს აძლევდა რეაბილიტაციის საშუალებას. სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს მიერ პირის პერსონალური მონაცემების ფლობა, არასანქცირებული წვდომისა და არამიზნობრივი გამოყენებისგან მისი დაცვის ხარისხის მიუხედავად, ქმნიდა საფრთხეს, რომ მოხდებოდა პირის სტიგმატიზება და, გარკვეულ შემთხვევებში, გამოიწვევდა მის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. მითითებული რისკები იზრდებოდა, როდესაც პერსონალური მონაცემები შეეხებოდა პირის სამართლებრივ გადაცდომას. ამასთან, ჩადენილი ქმედების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფოს ხელთ არსებობა თვით ამ მონაცემების სუბიექტს უქმნიდა განწყობას, რომ, მიუხედავად პასუხისმგებლობის მოხდისა, იგი სახელმწიფოს წინაშე მუდმივად სამართალდამრღვევად ცნობილ პირად რჩებოდა, რაც, თავისთავად, ართულებდა მის რეაბილიტაციას.

სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციულ სახელდადებულად ყოფნის გაქარწყლებას სჭირდებოდა ერთი წელი; ყველაზე ხანგრძლივი ადმინისტრაციული სახელის იყო მართვის უფლების შეჩერება 3 წლამდე ვადით; დადგენილება ადმინისტრაციული სახელის შესახებ არ აღსრულდებოდა, თუ იგი მიქცეული არ იყო აღსასრულებლად დადგენილების გამოტანიდან ექვსი თვის ვადაში. ამ გარემოებების ანალიზი ცხადყოფდა, რომ ადმინისტრაციული სახელის სათანადოდ აღსრულებისა და ადმინისტრაციულ სახელდადებული პირის მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის პრევენციის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, მოცემულ რეალობაში, არ არსებობდა სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მუდმივად შენახვის საჭიროება. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ პირის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო ინახავდა იმაზე ხანგრძლივად (უვადოდ), ვიდრე ეს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად იყო აუცილებელი.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ნორმის არსებობა საჭირო იყო კანონსაწინააღმდეგო ტენდენციების გამოვლენისთვის, რაზეც სახელმწიფოს უნდა დაეფუძნებინა სამომავლო რეაგირების სტრატეგია. სასამართლომ განმარტა, რომ შესაბამისი ტენდენციების გამოვლენა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სფეროში პოლიტიკის შემუშავება შესაძლებელი იყო პირის პერსონალური მონაცემების შენახვის გარეშე, უშუალოდ, სამართალდარღვევის ფაქტის თაობაზე ინფორმაციის შენახვის გზით. ხოლო ამ მიზნით სამართალდამრღვევად ცნობილი პირის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის ბლანკეტურად, მუდმივად შენახვა არ წარმოადგენდა მითითებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა ცნო არაკონსტიტუციურად საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სადავო ნორმა არ უზრუნველყოფდა დაყოფას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს შორის სოციალური საფრთხის შესაბამისად და ნებისმიერი სამართალდარღვევის მიმართ ერთნაირ შეზღუდვას ითვალისწინებდა. ამასთან, სამართალდამრღვევად ცნობილი პირის შესახებ ინფორმაცია ინახებოდა მუდმივად, მაშინაც კი, როდესაც პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი აქტუალურობას და სამართლებრივ მნიშვნელობას კარგავდა, ანდა, საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, კონკრეტული ქმედება სამართალდარღვევად აღარ მიიჩნეოდა. ამაზე სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალდარღვევის პრევენციის მიზნით პირის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული სამართალდარღვევის ხასიათი, სიმძიმე და სოციალური საშიშროება. შესაბამისად, მონაცემთა შენახვის წესი უნდა განსაზღვრულიყო არა ზოგადი ფორმით, არამედ სამართალდარღვევათა ბუნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე სადავო ნორმა ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში, ელექტრონულ ფორმატში, ჩანაწერები ინახება მუდმივად“.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1-ლი მარტის №271 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტში გაკეთდა აღნიშვნა, რომ ნორმა ძალადაკარგულია. ამის მიუხედავად, გადაწყვეტილების აღსრულება დღემდე არ მომხდარა. შს სამინისტრომ არათუ არ მიიღო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისი ახალი ნორმატიული აქტი, არამედ გააგრძელა პერსონალური მონაცემების უვადოდ შენახვის კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკა. ამაზე მეტყველებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტრო სამართალდამრღვევად გამოცხადდა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა, რომ ის კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე ინახავდა და იყენებდა ინფორმაციას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ.⁸

⁸ იხ. საიას განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2VvBbid> [ბოლო ნახვა: 30.06.2020].

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ჭიჭლაძე, ნინო კვინიტაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიაშვილი და სალომე სეზისკვირაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“⁹

დავის საგანი

საარჩევნო კოდექსის გასაჩივრებული ნორმებით, მერებისა და გამგებლების არჩევნებში მონაწილეობა შეეძლოთ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილ პირებს, მაგრამ არა – დამოუკიდებელ კანდიდატებს. საარჩევნო კოდექსის აღნიშნული ნორმები გასაჩივრდა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე (საარჩევნო უფლება) და 25-ე (საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება) მუხლებთან მიმართებით.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმები მას ართმევდა შესაძლებლობას, პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გვერდის ავლით, საინიციატივო ჯგუფის მეშვეობით მიეღო მონაწილეობა მერის არჩევნებში. საინიციატივო ჯგუფი, პარტიისგან განსხვავებით, არ წარმოადგენდა მუდმივ გაერთიანებას. პარტიის წევრები, გარკვეულწილად, ანგარიშვალდებულნი იყვნენ პარტიის წინაშე. საინიციატივო ჯგუფის მიერ დასახელებული კანდიდატი კი თავისუფალი იყო ასეთი მითითებებისგან. სადავო ნორმა მოსარჩელეებს ართმევდა მერის არჩევნებში კენჭისყრის, ასევე, დამოუკიდებელი კანდიდატის დასახელების უფლებას, რაც ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლებს.

მოპასუხე: მოპასუხემ სადავო ნორმით დადგენილი შუზღუდვა გაამართლა – ერთიანი კონსტიტუციური წყობილების შენარჩუნებისა და სეპარატიზმის თავიდან აცილების, საკრებულოსა და მერის თანამდებობაზე საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირების მოხვედრის და პარტიული სისტემების გაძლიერების ლეგიტიმური მიზნებით.

გადაწყვეტილების დასაბუთება

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლებით დაცული სფეროს გამიჯვნა იმის გასარკვევად, კონკრეტულად რომელ უფლებას არღვევდა სადავო ნორმა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, 25-ე მუხლისგან განსხვავებით, იცავდა საყოველთაო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. ამდენად, 24-ე მუხლი პირს აძლევდა პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისა და არჩევნების გზით სახელმწიფო თანამდებობის დაკავების შესაძლებლობას.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი მიუთითებდა „სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში“ მონაწილეობაზე. შესაბამისად, უნდა დადგენილიყო, სადავო ნორმებით გათვალისწინებული მერისა და გამგებლის არჩევნები ექცეოდა თუ არა კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულ სფეროში. სადავო ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობა შეეხებოდა მერების/გამგებლების არჩევნებს, რომელსაც განსაზღვრავდა კანონმდებლობა და არ იყო პირდაპირ გათვალისწინებული კონსტიტუციით. ამის მიუხედავად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს უკავშირდებოდა ამ ორგანოების მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სტატუსს და ხალხის წარმომადგენ-

⁹ აღნიშნულ საქმეში მოსარჩელეებს საიასთან ერთად წარმოადგენდა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED).

ლობის უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, ეს არჩევნები წარმოადგენდა კონსტიტუციით მოაზრებული საარჩევნო სისტემის ნაწილს და, შესაბამისად, კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულ სფეროს. ვინაიდან სადავო ნორმები მოსარჩელებს უწესებდა შეზღუდვას, საინიციატივო ჯგუფის ინიცირების შემთხვევაში ყოფილიყვნენ მერობის/გამგებლობის კანდიდატები, ხდებოდა კონსტიტუციის 24-ე მუხლში ჩარევა.

კონსტიტუციის 25-ე მუხლთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მერები და გამგებლები, როგორც აღმასრულებელი ორგანოები, ახორციელებდნენ საჯარო უფლებამოსილებებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამდენად, მერისა და გამგებლის პოსტები წარმოადგენდა სახელმწიფო თანამდებობებს. შესაბამისად, სადავო ნორმებით დადგენილი წესი ადგენდა ბარიერს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების მიმართ და ხდებოდა კონსტიტუციის 25-ე მუხლში ჩარევა.

ვინაიდან მოპასუხემ სადავო ნორმის გასამართლებლად რამდენიმე ლეგიტიმური მიზანი დაასახელა, სასამართლომ აღნიშნული ლეგიტიმური მიზნები ცალ-ცალკე შეაფასა.

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ეფექტიანი ფუნქციონირება

მოპასუხის აზრით, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ეფექტიანი ფუნქციონირება. ამას კი შეაფერხებდა პოლიტიკური პარტიებით დაკომპლექტებულ საკრებულოებსა და უპარტიო მერებს/გამგებლებს შორის მსოფლმხედველობრივი განსხვავება. კერძოდ, არსებობდა რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა (მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დამტკიცება), რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების შეთანხმებულ მოქმედებას საჭიროებდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა ეს არგუმენტები და განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სახელმწიფო მმართველობის პოლიტიკური სისტემა არათუ უარყოფდა პლურალიზმს, არამედ ეფუძნება მას. კონსტიტუციით აღიარებული დემოკრატიული წესწყობილება გულისხმობდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობით უნდა წარმართულიყო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას ყველა ჯგუფის პოზიცია და ინტერესი გათვალისწინებულიყო. ამდენად, სასამართლოს აზრით, არ შეიძლებოდა, განსხვავებული პოლიტიკური თუ მსოფლმხედველობრივი შეხედულება გამხდარიყო ამა თუ იმ პირისა თუ პირთა ჯგუფისთვის სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძველი. სასამართლომ ლეგიტიმურად არ მიიჩნია დასახელებული მიზანი, რომლის მისაღწევადაც დასაშვები იქნებოდა კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა.

2. პარტიების გაძლიერება

მოპასუხე მხარემ ასევე აღნიშნა, რომ მერის არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის მონაწილეობის აკრძალვა ემსახურებოდა პოლიტიკური პარტიების გაძლიერების ლეგიტიმურ მიზანს.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი და აღნიშნა, რომ, თავისთავად, პოლიტიკური სუბიექტების გაძლიერებასა და ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის შექმნას უმნიშვნელოვანესი დატვირთვა ჰქონდა დემოკრატიული საზოგადოებისათვის, თუმცა ამ პროცესში მიუღებელი იყო ერთი პოლიტიკური სუბიექტის გაძლიერება მეორის უფლებების დასუსტების ხარჯზე. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გაუგებარი აღმოჩნდა, პოლიტიკური პარტიების განვითარების თვალსაზრისით რა სარგებლობის მოტანა შეეძლო საინიციატივო ჯგუფებისთვის მერობის კანდიდატის წარდგენის აკრძალვას, როდესაც დამოუკიდებელ კანდიდატებს საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ.

3. სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა

მოპასუხე მხარის აზრით, მერობის კანდიდატთა წარდგენის უფლების მინიჭება მხოლოდ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისთვის უზრუნველყოფდა სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატების არჩევას კი, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დაეყენებინა სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფსა და პოლიტიკურ პარტიას შორის არსებობდა, იყო ამ უკანასკნელის ორგანიზებული ხასიათი. ამა თუ იმ საარჩევნო კანდიდატის წარმდგენი საინიციატივო ჯგუფები იქმნებოდა მხოლოდ იმ კონკრეტული შემთხვევებისთვის, ხოლო პოლიტიკური გაერთიანებები ექვემდებარებოდა სავალდებულო რეგისტრაციას, ამოძრავებდათ უფრო გრძელვადიანი პოლიტიკური მიზნები და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გარდა ამისა, იმის გასარკვევად, თუ რა პოტენციური საფრთხეები მომდინარეობდა მერის თანამდებობიდან, სასამართლომ გამოიკვლია მისი უფლებამოსილებები. სასამართლოს განმარტებით, მერების/გამგებლების უფლებამოსილებას წარმოადგენდა მუნიციპალიტეტში, ადგილობრივ დონეზე, აღმასრულებელი ფუნქციების განხორციელება. შესაბამისად, მათი კომპეტენციის ფარგლები ვრცელდებოდა იმ საკითხების აღსრულებაზე, რომელთა განხორციელების უფლებამოსილებაც ჰქონდათ მუნიციპალიტეტებს. ასეთ საკითხებს მიეკუთვნებოდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა, მუნიციპალური ნარჩენების მართვა და ა.შ. ამ უფლებამოსილების განხორციელებას არ შეეძლო, საფრთხე მიეყენებინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისთვის.

კანონმდებლობა ითვალისწინებდა მერისა და გამგებლის კონტროლის მექანიზმებსაც, რაც უზრუნველყოფდა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საფრთხის პრევენციას. მერი/გამგებელი ანგარიშვალდებულნი იყვნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სათანადო საფუძვლის არსებობისას, უფლება ჰქონდა, უნდობლობა გამოეცხადებინა მერისთვის, რაც იწვევდა მისი უფლებამოსილების შეწყვეტას. მუნიციპალიტეტი კონტროლდებოდა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდანაც. პრეზიდენტს, უკიდურეს შემთხვევაში, შეეძლო, შეეჩერებინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა და დაეთხოვა ის, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნებოდა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას. მოპასუხის არგუმენტაციას ასევე ეჭვქვეშ აყენებდა ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებზე საინიციატივო ჯგუფებს უფლება ჰქონდათ, დაესახელებინათ საკუთარი კანდიდატები. შესაბამისად, გაუგებარი იყო, რატომ იყო საფრთხის შემცველი დამოუკიდებელი კანდიდატების არჩევა მხოლოდ მერის თანამდებობებზე და ასეთი საფრთხე არ იყო დანახული საკრებულოს წევრად არჩევის შემთხვევაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლებთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე საარჩევნო კოდექსის სადავო ნორმები ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

167-ე მუხლის მე-2 პუნქტი:

„კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა მერობის/გამგებლობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს ამ კანონის 142-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრირებულ პარტიას/

საარჩევნო ბლოკს“.

167-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი:

„მერობის/გამგებლობის კანდიდატი რეგისტრაციაში გატარდება, თუ წარდგენილია კანდიდატის წარდგენის შესახებ განცხადება, რომელიც დამოწმებულია პარტიების/საარჩევნო ბლოკების ხელმძღვანელ პირთა ხელმოწერებით“.

169²-ე მუხლის მე-4 პუნქტი:

„რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, ამ კანონის 142-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული პარტია/საარჩევნო ბლოკი, აგრეთვე პარტია, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ბოლო არჩევნებში მონაწილეობისთვის, განცხადებით მიმართავს ცესკოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 47-ე დღისა. იმავე ვადაში ცესკოს განცხადებით მიმართავს პარტია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობას. ასეთ პარტიას განცხადების მიღებისთანავე ცესკო გადასცემს პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშს მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად“.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, 2016 წლის 22 ივნისს, საარჩევნო კოდექსში შევიდა შესაბამისი ცვლილებები. შედეგად, ძალადაკარგულად გამოცხადდა სადავო ნორმები, რომლებსაც ახალი პუნქტები დაემატა.

167-ე მუხლს დაემატა მე-2¹ ქვეპუნქტი:

„კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა მერობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ ამ კანონის 142-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს, აგრეთვე, ამ კანონის 141-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს“.

167-ე მუხლის მე-8 პუნქტს დაემატა „ბ¹“ ქვეპუნქტი:

„მერობის კანდიდატი რეგისტრაციაში გატარდება, თუ წარდგენილია კანდიდატის წარდგენის შესახებ განცხადება, რომელიც დამოწმებულია პარტიის/საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირის (პირების), ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წევრთა ხელმოწერებით“.

169²-ე მუხლს დაემატა მე-4¹ ქვეპუნქტი:

„მერის რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ამ კანონის 142-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული პარტია/საარჩევნო ბლოკი, აგრეთვე პარტია, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა მუნიციპალიტეტის ორგანოთა ბოლო არჩევნებში მონაწილეობისთვის, განცხადებით მიმართავს ცესკოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 47-ე დღისა. იმავე ვადაში ცესკოს განცხადებით მიმართავს პარტია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობას, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი განცხადებით მიმართავს შესაბამის საარჩევნო კომისიას. ასეთ პარტიას განცხადების მიღებისთანავე ცესკო გადასცემს პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშს მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს შესაბამისი საარჩევნო კომისია გადასცემს მხარდამჭერთა სიის ნიმუშს მის მიერ წარდგენილი მერობის კანდიდატის მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად“.

საქართველოს პარლამენტის მიერ საარჩევნო კოდექსში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მერისა და გამგებლის კანდიდატების ინიცირების უფლება მიეცა ასევე საინიციატივო ჯგუფსაც. შესაბამისად, ამ ცვლილებებით სრულად აღსრულდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილებები განხორციელდა სასამართლოს გადაწყვეტილებიდან 2 თვეში, რაც გონივრულ პერიოდს წარმოადგენს.

9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ბიგა ბარათაშვილი და კარინა შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“

დავის საგანი

თავდაცვის მინისტრის №583 და №582 ბრძანებების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლთან (საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება) მიმართებით. სადავო ნორმები აწესრიგებდა სამხედრო მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მისი კადრების განკარგულებაში გადაყვანის და გათავისუფლების საფუძვლებს.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელე განმარტავდა, რომ არსებული საკანონმდებლო რეალობა იძლეოდა შესაძლებლობას, თავდაცვის მინისტრს ბუნდოვანი, განუჭვრეტელი საფუძვლით მიეღო გადაწყვეტილება სამხედრო მოსამსახურის კადრების განყოფილებაში გადაყვანის თაობაზე იმ მიზნით, რომ შესაბამისი 4 თვიანი ვადის ამოწურვისთანავე, ის სამსახურიდან გათავისუფლებულიყო. ამით ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან იქმნებოდა რეალური საფრთხე, პირი სამსახურიდან დაუსაბუთებლად გაეთავისუფლებინათ. იმავედროულად, სამსახურებრივი გადაადგილების საფუძვლის ბუნდოვანების გამო სამხედრო მოსამსახურეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ადმინისტრაციული საქმის განმხილველ სასამართლოში შეემოწმებინა მინისტრის გადაწყვეტილების კანონიერება.

მოპასუხე: მოპასუხემ აღნიშნა, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში (4 თვე) პირი არ წყვეტდა შრომით ურთიერთობას თავდაცვის სამინისტროსთან, ხოლო 2 თვის განმავლობაში სრულად უნარჩუნდებოდა თანამდებობრივი სარგო. შესაბამისად, მოპასუხის აზრით, სადავო ნორმები, თავისი შინაარსით, არ იწვევდა მოსარჩელეთა კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული უფლების დარღვევას.

გადაწყვეტილების დასაბუთება

სასამართლომ დაადგინა, რომ სამსახურებრივი გადაადგილებისას მოსამსახურის კადრების განყოფილებაში გადაყვანა დაკავებული თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა, ხოლო თუ კადრების განყოფილებაში ყოფნის პერიოდში პირს შესაბამის თანამდებობას არ მოუძებნიდნენ, იგი ავტომატურად გათავისუფლდებოდა სამსახურიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი იცავდა საჯარო მოხელეს დაუსაბუთებელი, თვითნებური გათავისუფლებისგან, რაც, მათ შორის, გულისხმობდა კონკრეტულ თანამდებობაზე უფლებამოსილების განხორციელების უწყვეტობას. შესაბამისად, ვინაიდან თავდაცვის მინისტრის №583 და №582 ბრძანებების სადავო ნორმებით შეიძლებოდა სამსახურიდან სამხედრო მოსამსახურის დათხოვნა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმით არ იყო განსაზღვრული, რა შემთხვევაში უნდა გამოყენებინა თავდაცვის მინისტრს სამსახურებრივი გადაადგილების უფლებამოსილება. ეს გარემოება ქმნიდა მინისტრისთვის მინიჭებული დისკრეციის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას და, ამგვარად, წარმოშობდა სახელმწიფო ორგანოს მხრიდან თვითნებურად მოქმედების მომეტებულ რისკებს. სასამართლოს განმარტებით, უფლების დარღვევის საფრთხე კიდევ უფრო იზრდებოდა მაშინ, როდესაც კადრების განკარგულებაში გადაყვანა გამოიყენებოდა, როგორც სამსახურიდან დათხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი. ყოველივე ეს ზი-

ანს აყენებდა საჯარო სამსახურის ეფექტიან ფუნქციონირებას და ზღუდავდა პირის უფლებას, შეუფერხებლად განეხორციელებინა თავისი საქმიანობა საჯარო თანამდებობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ შესაბამისი შრომითი გასამრჯელოს შენარჩუნება (არა უმეტეს 2 თვის ვადით) ვერ უზრუნველყოფდა თანამდებობრივ უწყვეტობას.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტაციის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმებით დადგენილი სამსახურებრივი გადაადგილების (მოსამსახურის კადრების განყოფილებაში გადაყვანის) წესი არ იყო განჭვრეტადი და არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლს. კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლება ხდებოდა კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამოწურვის მომენტიდან და არ არსებობდა ამის კანონით განსაზღვრული სხვა საფუძვლები. სადავო რეგულაცია იწვევდა საჯარო მოხელის კონსტიტუციური უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას, რაც, იმავდროულად, აისახებოდა არსებული კანონმდებლობის მიმართ სახელმწიფო თანამდებობის პირთა ნდობის შერყევამდე. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმები არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტს. შესაბამისად, კონსტიტუციის 25-ე მუხლთან მიმართებით სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სამსახურიდან მოხელის გათავისუფლების შესაძლებლობას კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამოწურვის მომენტიდან, თუ არ არსებობდა სამსახურიდან გათავისუფლების კანონით განსაზღვრული სხვა საფუძვლები.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 და №582-ე ბრძანებების შესაბამისი სადავო ნორმები ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანების მუხლის მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი:

„მოსამსახურე თავისუფლდება შესაბამისი თანამდებობიდან და გადაიყვანება კადრების განკარგულებაში მინისტრის შესაბამისი გადაწყვეტილებით, სამსახურებრივი გადაადგილებისას შესაბამისი თანამდებობის შერჩევამდე“.

თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანების მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი:

„მოსამსახურე თავისუფლდება შესაბამისი თანამდებობიდან და გადაიყვანება კადრების განკარგულებაში მინისტრის ან მისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უფლებამოსილი თანამდებობის პირის შესაბამისი გადაწყვეტილებით, სამსახურებრივი გადაადგილებისას შესაბამისი თანამდებობის შერჩევამდე“.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტი:

„კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს. აღნიშნული ვადის ამოწურვამდე კადრების განკარგულებაში ყოფნის შემთხვევაში, მოსამსახურე უნდა დაინიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან დათხოვნილ/გათავისუფლებულ იქნეს სამსახურიდან. თუ აღნიშნული ვადის ამოწურვისას მოსამსახურე არ დაინიშნება შესაბამის თანამდებობაზე, სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დათხოვნის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, მოსამსახურე ითვლება დათხოვნილად /გათავისუფლებულად აღნიშნული ვადის ამოწურვიდან მეორე დღეს“.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ სადავო ნორმებში გაკეთდა მითითება, რომ ძალადაკარგულია ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობას კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამოწურვის მომენტიდან, თუ არ არსებობს სამსახურიდან გათავისუფლების კანონით განსაზღვრული სხვა საფუძვლები. ეს გადაწყვეტილება იყო თვითაღსრულებადი, ვინაიდან თავდაცვის მინისტრის მხრიდან არ მოითხოვდა ამ საკითხზე დამატებითი რეგულაციის შემუშავებას.

10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/5/626 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

დავის საგანი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-60 მუხლის პირველი პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა ახალი გამგებლის/მერის არჩევისას გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ავტომატური შეწყვეტის შესაძლებლობას, ასევე გამგებელს/მერს ანიჭებდა უფლებამოსილებას, დასაბუთების გარეშე, დაკავებული თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. ეს ნორმა გასაჩივრებული იყო საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლთან (საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება) მიმართებით.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს არ ჰქონდა დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა, სადავო ნორმას კი იგი პროფესიონალი საჯარო მოხელის კატეგორიიდან პოლიტიკური თანამდებობის პირის კატეგორიაში გადაჰყავდა. ამით ამარტივებდა თანამდებობიდან აღნიშნული კატეგორიის მოხელის გათავისუფლებას. ამის გათვალისწინებით, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტს.

მოპასუხე: მოპასუხე მიუთითებდა, რომ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არ იყო რიგითი მოსამსახურე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში. გამგებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ისევე, როგორც მის პირველ მოადგილეს, უნაწილებდა ფუნქციებს, აძლევდა დავალებებს და, ასევე, შეეძლო საკუთარი უფლებამოსილების დელეგირება. ამასთან, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ჰქონდა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემის შესაძლებლობა. იგი უშუალოდ მონაწილეობდა გამგებლის/მერის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ეს განაპირობებდა ამ თანამდებობის პირთა გათავისუფლების განსხვავებული წესის დადგენის აუცილებლობას.

გადაწყვეტილების დასაბუთება

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლთან მიმართებით

საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები მათზე დაკისრებულ საჯარო ფუნქციებს ახორციელებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. შესაბამისად, აღნიშნული თანამდებობა წარმოადგენდა სახელმწიფო თანამდებობას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მიზნებისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა, ერთი მხრივ, თანამდებობები, რომელთა დაკავება სრულიად პოლიტიკური პროცესის ნაწილს წარმოადგენდა და, მეორე მხრივ, თანამდებობები, რომლებზეც შერჩევა მხოლოდ პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდებოდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ, როგორც წესი, არ არსებობდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, ისინი თანამდებობაზე ინიშნებოდნენ. ამის საპირისპიროდ, პროფესიული თანამდებობის პირებთან მიმართებით აუცილებელი იყო შესაბამისი ცოდნის, პროფესიის, კვალიფიკაციისა თუ სხვა მახასიათებლების მქონე კადრების შერჩევა მათზე დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად. აღნიშნულის არარსებობას კი, შესაძლოა, გამოეწვია მოხელეზე დაკისრებული მოვალეობების არაეფექტიანი შესრულება. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ განსხვავებული იყო პროფესიული ნიშნით განწესებული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხიც. ისინი არ იღებდნენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და არ ეკისრებოდათ პოლიტიკური პასუხისმგებლობა. შესაბამისად, მათი მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობა მხოლოდ სამართლებრივი პასუხისმგებლობის საგანს წარმოადგენდა.

სასამართლომ განმარტა, რომ უფლების შეზღუდვის საფუძვლები ნებისმიერი თანამდებობის პირის მიმართ ვერ იქნებოდა იდენტური და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგენილიყო, თანამდებობა პროფესიული იყო თუ პოლიტიკური. ამ საქმეში სასამართლოს უნდა დაედგინა შემდეგი გარემოებები: ა) გამგობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი იყო პოლიტიკური თანამდებობის პირი თუ პროფესიული და; ბ) რა სახის გარანტიები იყო დადგენილი აღნიშნული თანამდებობის მიმართ კონსტიტუციის 25-ე მუხლით.

კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის საქმიანობა, მისი უფლებამოსილებები შემოიფარგლებოდა კონკრეტული, მის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულის ორგანიზაციული გამართულობის უზრუნველყოფით. მისი ძირითადი და უპირველესი მოვალეობა სწორედ ამ სტრუქტურული ერთეულის შიგნით შესასრულებელ ამოცანათა, აგრეთვე, მოსამსახურეთა უფლებამოსილებების განაწილება და ორგანიზება იყო. გარდა ამისა, თითოეული ფუნქცია, რომელიც ტექნიკური საკითხების მიღმა გარკვეულ ინიციატივებსა თუ წინადადებებს შეეხებოდა, საჭიროებდა უშუალოდ გამგებლისთვის/მერიისთვის წარდგენას. ამასთან, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ფუნქციებიდან გამომდინარე, იგი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული იყო მხოლოდ გამგებლის/მერიის წინაშე. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენდა საჯარო თანამდებობის პირს, რომელიც საკუთარი, კანონით ვიწროდ გაწერილი, უფლებამოსილებებისა და ფუნქციების ფარგლებში ეხმარებოდა მერს ამოცანების პრაქტიკულ რეალიზებაში. ამდენად, ის არ წარმოადგენდა პოლიტიკური თანამდებობის პირს.

ახალი გამგებლის/მერიის არჩევისას სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისთვის უფლებამოსილების ავტომატურად შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით, მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კანონში ამგვარი ცხადი ჩანაწერი გულისხმობდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე განსაზღვრული ვადით საქმიანობას, ხოლო თავად აღნიშნულ პირს ვერ შეეძინებოდა ამ პოზიციაზე უვადოდ ყოფნის ლეგიტიმური მოლოდინი.

სასამართლოს განმარტებით, გამგობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის არსის, მისი მოვალეობებისა და მიზნების ანალიზმა აჩვენა, რომ, მართალია, ეს უკანასკნელი წარმოადგენდა გამგებლის/მერიის წინაშე პასუხისმგებელ პირს, თუმცა, იმავდროულად, იყო სრულიად დამოუკიდებელი ფუნქციების მქონე თანამდებობის პირი. მის მიერ უფლებამოსილების კვალიფიციურად განხორციელება არ იყო დამოკიდებული გამგებლის/მერიის პიროვნებაზე, არამედ გააჩნდა დამოუკიდებელი ამოცანები, მოქმედების არეალი და სფერო. მისი ფუნქციები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზემდგომი თანამდებობის პირის საქმიანობის ადმინისტრაციული ორგანიზებითა და ფორმალური ხელშეწყობით, არამედ ჰქონდა თვითმყოფადი ბუნება. ამგვარი საჯარო თანამდებობისთვის კი კანონით უფლებამოსილების ვადის დაწესება წარმოადგენდა სახელმწიფო თანამდებობის განხორციელების უფლების შეზღუდვას.

მოპასუხე მხარემ სადავო ნორმებით განსაზღვრული შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა გამგობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ეფექტიანი ფუნქციონირება და თანამდებო-

ბის პირების ჩანაცვლებადობა. სასამართლომ აღნიშნული ლეგიტიმური მიზნები ცალ-ცალკე შეაფასა.

ა. გამგებლის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ეფექტიანი ფუნქციონირება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისი ნორმების ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა იწვევდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ავტომატურ შეწყვეტას ახალი გამგებლის/მერიის არჩევისას. მას უფლებამოსილება უწყებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამგებელს/მერს სურდა, რომ კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს გაეგრძელებინა დაკავებულ თანამდებობაზე საქმიანობა. ამ მხრივ, სადავო ნორმები არ ტოვებდა არათუ ობიექტური, არამედ სუბიექტური შეფასებით განსხვავებული სამართლებრივი შედეგების დადგომის შესაძლებლობასაც კი. სასამართლოს განმარტებით, დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, სადავო ნორმა, რომელიც შესაბამისი თანამდებობის პირის კვალიფიკაციის, გამოცდილებისა თუ სხვა უნარების შემოწმების/შეფასების გარეშე ადგენდა უფლებამოსილების ავტომატურად შეწყვეტას ახალი გამგებლის/მერიის მიერ უფლებამოსილების დაწყების მომენტიდან, წარმოადგენდა გამოუსადეგარ საშუალებას ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნისთვის. შესაბამისად, ეს რეგულაცია ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 25 მუხლს.

ბ. ხელისუფლების განმახორციელებელი სუბიექტების ჩანაცვლებადობა

მოპასუხე მიუთითებდა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, ხელისუფლების განმახორციელებელი სუბიექტების ჩანაცვლებადობა წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ეფექტიანი ფუნქციონირების შემადგენელ ნაწილს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გამგებლის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები იყვნენ პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები. ისინი არ წარმართავდნენ ხელისუფლებას და არ იყვნენ პოლიტიკურ კურსის გამტარებელნი. შესაბამისად, ყოველი არჩევნების შემდგომ მათი ახალი კადრებით ჩანაცვლების რეალური შესაძლებლობა არ წარმოადგენდა დემოკრატიული სახელმწიფოს და, ზოგადად, კონსტიტუციის მოთხოვნას. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 25-ე მუხლს.

2. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-60 მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით

სადავო ნორმა ადგენდა გამგებლის/მერიის მიერ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებამოსილებას საკუთარი შეხედულებისამებრ. სარჩელის განხილვისას მოპასუხეს არ დაუსახელებია და სასამართლომაც ვერ დაინახა სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი. შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ ლეგიტიმური მიზნის არარსებობისას კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევა წარმოადგენდა თვითმიზნურ შეზღუდვას და არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის სადავო ნორმები ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

მე-60 მუხლის პირველი პუნქტი:

„გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი“.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტი:

„გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობრივი შეუთავსებლობის, აგრეთვე, უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები წესრიგდება ამ კანონის 58-ე და 59-ე მუხლების შესაბამისად“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე 2017 წლის 1-ლი ივლისის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-60 მუხლში შევიდა ცვლილება და სადავო ნორმებიდან მომდინარე პრობლემა დარეგულირდა.

მე-60 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია საჯარო მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით“.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სრულად აღსრულდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან მერიის სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელის გათავისუფლება დაექვემდებარა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესს, რაც გამორიცხავს სამსახურიდან მის ავტომატურ და, ასევე, თვითნებურ გათავისუფლებას.

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

დავის საგანი¹⁰

საარჩევნო კოდექსის გასაჩივრებული ნორმები არჩევნებში მონაწილეობისთვის ადგენდა ბინადრობის 2 წლიან ცენზს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრობის კანდიდატებისა და, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ხელმძღვანელის - მერისა და გამგებლის კანდიდატებისთვის. სადავო ნორმები გასაჩივრებული იყო საქართველოს კონსტიტუციის 24-ე (საარჩევნო უფლება) და 25-ე (საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება) მუხლებთან მიმართებით.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება, დაეწესებინა ბინადრობის ცენზი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პასიური საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით, ვინაიდან ასეთ ცენზს საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა. მოსარჩელე ასევე მიიჩნევდა, რომ ბინადრობის ცენზი შეიძლება გარკვეულ მიზნებს ისახავდა, თუმცა სადავო ნორმები ვერ აკმაყოფილებდა თანაზომიერების პრინციპს, ვინაიდან რეგულაციას არ გააჩნდა მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება.

მოპასუხე: მოპასუხის აზრით, ბინადრობის ცენზი წარმოადგენდა იმ მყარ გარანტიას, რომელიც საკრებულოს წევრის, მერის/გამგებლის მჭიდრო კავშირს უზრუნველყოფდა სახელმწიფოსთან. ცენზის არსებობა განაპირობებდა ადგილობრივი თვითმმართველობის დაკომპლექტებას სახელმწიფოს პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული თანამდებობის პირებით, რომლებსაც ირჩევდა ხალხი და რომლებიც კარგად იცნობდნენ სახელმწიფო თუ ადგილობრივ სპეციფიკას.

გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილებაში ერთმანეთისგან გამიჯნა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლებით დაცული სფეროები, ასევე, დაძლია ქინქლაძის საქმეზე მიღებული, ზემოთ განხილული გადაწყვეტილება.¹¹

საკონსტიტუციო სასამართლომ, ქინქლაძის საქმის საწინააღმდეგოდ, კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულ სფეროში მოაქცია მხოლოდ ისეთი არჩევნები, რომლებიც კონსტიტუციით იყო გათვალისწინებული. კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა მერის პირდაპირი წესით არჩევას. ეს არჩევნები კანონით იყო დადგენილი. ამიტომ სარჩელი, რომელიც ეხებოდა მერობის კანდიდატისთვის 2 წლიანი ბინადრობის ცენზის დაწესებას, კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებით (საარჩევნო უფლება), არ დააკმაყოფილა. საკონსტიტუციო სასამართლომ ცალკე განიხილა საკრებულოს წევრისთვის დადგენილი 2 წლიანი ბინადრობის ცენზის კონსტიტუციის 24-ე მუხლ-

¹⁰ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 134-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „და საქართველოში მუდმივად უცხოვრია ...მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც“, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვების „რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია ...მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც“, 143-ე მუხლის მე-8 პუნქტის სიტყვების „საქართველოში ...მათ შორის, ბოლო 2 წლის განმავლობაში მისი მუდმივად ცხოვრების ფაქტი და“ და ამავე კოდექსის 167-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში“ - კონსტიტუციურობა.

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტუნაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

თან (არჩევნებში მონაწილეობის უფლება) მიმართებით. ამის მიზეზი ის იყო, რომ საკრებულოს პირდაპირი წესით არჩევნებს, პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნებთან ერთად, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოქალაქის მიერ მერის/გამგებლის სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება დაცული იყო კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით (საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება).

1. საკრებულოს წევრობის კანდიდატის მიმართ დადგენილი შეზღუდვის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან

სადავო ნორმების მიხედვით, პირი, რომელსაც ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად არ უცხოვრია, ვერ დარეგისტრირდებოდა საკრებულოს არჩევნებში კანდიდატად. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული რეგულაციით ხდებოდა პასიურ საარჩევნო უფლებაში ჩარევა. შესაბამისად, უნდა შემოწმებულიყო, რამდენად აკმაყოფილებდა იგი თანაზომიერების ტესტის მოთხოვნებს.

სასამართლომ პასიურ საარჩევნო უფლებაზე დადგენილი შეზღუდვებიდან გამოყო, ერთი მხრივ, შემთხვევები, როდესაც ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე არჩევიდან მომდინარე საფრთხის პრევენცია და, მეორე მხრივ, ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც უზრუნველყოფდა საუკეთესო კანდიდატის შერჩევას. სასამართლომ პირველი ტიპის ლეგიტიმური მიზნის მაგალითად მოიყვანა ისეთი პირისა თუ პოლიტიკური გაერთიანებისთვის პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვა, რომელთა მიზანსაც კონსტიტუციური წყობილების დამსობა წარმოადგენდა. მან ასევე აღნიშნა, რომ პასიურ საარჩევნო უფლებაზე დაწესებული ცენზის მიზნები ყოველთვის დაკავშირებული უნდა იყოს იმ საფრთხეების პრევენციასთან, რომლებიც მომდინარეობს ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე არჩევიდან და არა – კანდიდატის არჩევის პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ პასიურ საარჩევნო უფლებაზე, კონსტიტუციის მიღმა, ცენზების დადგენის ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნებოდა საუკეთესო კანდიდატის ან/და საარჩევნო თანამდებობასთან ობიექტურად ყველაზე მეტად შესაფერისი პირის შერჩევის უზრუნველყოფა. შესაბამისად, სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტს.

2. მერობის/გამგებლობის კანდიდატის მიმართ დადგენილი შეზღუდვის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან

სადავო ნორმების მიხედვით, პირი, რომელსაც ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად არ უცხოვრია, კანდიდატად ვერ დარეგისტრირდებოდა მერის/გამგებლის არჩევნებში.

მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი პოზიციით, სადავო ნორმები ქმნიდა საკანონმდებლო გარანტიებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირები ჩართულნი ყოფილიყვნენ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ახლოს გასცნობოდნენ სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ სპეციფიკას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს ლეგიტიმური მიზნები უნდა მიჩნეულიყო დირექტულ სიკეთედ, ვინაიდან მერს და გამგებელს უწევდათ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებსაც უნდა ეპასუხა კონკრეტული მუნიციპალიტეტის საჭიროებებისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს თანამდებობის პირები ჩართულნი ყოფილიყვნენ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ჰქონოდათ ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ, ვინაიდან ადგილობრივ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები დიდ როლს ასრულებდა ზოგადსახე-

ლმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებაში და – პირიქით.

ამის მიუხედავად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბინადრობის ცენზი ვერ იქნებოდა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში პირის მონაწილეობის გარანტია. ცალკე აღებული, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების ფაქტიც კი, a priori, არ მიუთითებდა, რომ პირი ჩართული იყო სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ან გაცნობიერებული ჰქონდა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. შეიძლება, მოქალაქეს მუდმივად ეცხოვრა საქართველოში, მაგრამ საერთოდ არ სცოდნოდა რეალობა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებზე და პირიქით – საქართველოში მუდმივად არმცხოვრებ პირს ჰქონდა სრული, ზედმიწევნითი ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებზე. ამდენად, სასამართლოს აზრით, ამკარა იყო, რომ, ზოგადად, სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივ ცხოვრებაში ჩართულობას სადავო ნორმებით დადგენილ შეზღუდვასთან კავშირი არ გააჩნდა. ამის გამო. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე სადავო ნორმები არჩევნებში მონაწილეობისთვის ადგენდა ბინადრობის 2 წლიან ცენზს საკრებულოს წევრობის და მერისა და გამგებლის კანდიდატებისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, 2017 წლის 26 ივლისს საარჩევნო კოდექსში შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებებით, სადავო ნორმებიდან ამოიღეს სიტყვები „და საქართველოში მუდმივად უცხოვრია არჩევნების დანიშნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც“. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ხელმძღვანელის არჩევნებში მონაწილეობისთვის საჭირო აღარ არის არჩევნებამდე საქართველოში 2 წელი მუდმივად ცხოვრება.

12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის №1/11/629,652 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები როინ გავაშელიშვილი და ვალერიანა მიგინიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“

დავის საგანი¹²

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მიხედვით, პირებს, რომლებიც 2013 წლის 1-ლი ივლისის მდგომარეობით დატოვებდნენ კერძო სადაზღვევო სქემას, შეეძლოთ, ესარგებლათ მხოლოდ მინიმალური სადაზღვევო პაკეტითა და გადაუღებელი ლაბორატორიული და სტაციონარული მომსახურებით, ხოლო საბაზისო სადაზღვევო პაკეტებით სარგებლობიდან გამოირიცხებოდნენ. საბაზისო პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა ჰქონდათ იმ პირებს, რომლებსაც კერძო დაზღვევა შეუწყდათ 2013 წლის 1-ლ ივლისამდე. სადავო ნორმები გასაჩივრებული იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელის განმარტებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა 2013 წლის 1-ლ ივლისამდე, კერძო სადაზღვევო სქემაში ჩართულ პირებთან შედარებით, მოსარჩელეებს, რომლებსაც კერძო დაზღვევა შეუწყდათ ამ თარიღის შემდეგ, უზღუდავდა გეგმიური ონკოლოგიური ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობას. მოსარჩელის თქმით, ამგვარ მოპყრობას არ ჰქონდა გამართლება.

მოპასუხე: მოპასუხე მხარის აზრით, სადავო ნორმის გაუქმება და იმ პირთა ჩართვა საბაზისო სადაზღვევო პაკეტში, რომლებსაც 2013 წლის 1-ლი ივლისის შემდგომ შეუწყდათ კერძო სადაზღვევო კონტრაქტის მოქმედება, გამოიწვევდა საბიუჯეტო ხარჯების გაუთვალისწინებელ ზრდას და, შესაძლოა, გარდაუვალი გამხდარიყო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სამედიცინო მომსახურების მოცულობის საყოველთაო შემცირება. მოპასუხის განმარტებით, ნორმის გაუქმება ასევე საფრთხეს შეუქმნიდა კერძო სადაზღვევო ბიზნესის ფუნქციონირებას, რადგან არსებობდა მათი ბენეფიციარების ხელოვნური გადმოღინების საფრთხე სახელმწიფო პროგრამაში. საბოლოო ჯამში, ეს მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას და უარყოფითად აისახებოდა თითოეულ მოქალაქეზე.

გადაწყვეტილების დასაბუთება

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული საქმის ფარგლებში შესადარებელ ჯგუფებს წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, პირები, რომლებმაც კერძო სადაზღვევო სქემა დატოვეს 2013 წლის 1-ლ ივლისამდე; მეორე მხრივ, პირები, რომელთა კერძო სადაზღვევო კონტრაქტის მოქმედება 2013 წლის 1-ლ ივლისს ან შემდგომ დღეებში შეწყდა. სასამართლოს განმარტებით, შესადარებელი ჯგუფები დიფერენცირებულ მდგომარეობაში იყვნენ, რადგან პირველ კატე-

¹² „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვების „იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ მიზეზით შეწყდა სადაზღვევო კონტრაქტის მოქმედება, ასეთი პირები უფლებამოსილი იქნებიან, მიიღონ ამ დადგენილების დანართი №1.1-ის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება, ასევე, „ა.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სისხლის საერთო ანალიზი და შარდის საერთო ანალიზი, „ბ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება ... და დანართი №1.2-ით გათვალისწინებული გადაუღებელი სამედიცინო მომსახურება“ (2015 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის პირველ მარტამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

გორიაში მოქცეული პირები სარგებლობდნენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სრულად, ხოლო მეორე კატეგორიაში მყოფებს უფლება ჰქონდათ, ესარგებლათ მხოლოდ შეზღუდული მოცულობით. საყოველთაო ჯანდაცვის მომსახურების მიღების ინტერესი კი ნებისმიერ პირს თანასწორად გააჩნდა. აქედან გამომდინარე, შესაძარბელი ჯგუფები წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ პირებს და სადავო ნორმა ახდენდა მათ დიფერენცირებას.

ამის შემდგომ სასამართლოს უნდა განესაზღვრა, შეფასების რომელი ტესტი გამოყენებულიყო. პირთა შესაძარბელი ჯგუფების მიმართ დიფერენცირებული მოპყრობა არ ეფუძნებოდა კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით ჩამოთვლილ რომელიმე კლასიკურ ნიშანს. ამასთან, სადავო ნორმა არ ხასიათდებოდა ინტენსივობის მაღალი ხარისხით, რადგან დადგენილ შეზღუდვებს გააჩნდა დროებითი ხასიათი. ამასთან, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებული პირები სრულად არ იყვნენ გამორიცხულნი საყოველთაო დაზღვევიდან, ვინაიდან ისინი სარგებლობდნენ მინიმალური სადაზღვევო პაკეტით. შესაბამისად, სადავო ნორმა უნდა შეფასებულიყო რაციონალური დიფერენცირების ტესტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, მოპასუხეს უნდა ეჩვენებინა: ა) დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობა, მაქსიმალური რეალისტურობა, გარდაუვალობა ან საჭიროება და ბ) რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგ შორის.

სასამართლომ მოპასუხის მხრიდან დიფერენცირების რაციონალურობის მტკიცებისას არ გაიზიარა არგუმენტი, რომ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის გაუქმება და საბაზისო სადაზღვევო პაკეტზე იმ პირთა მიერთება, რომელთაც 2013 წლის 1-ლი ივლისის შემდგომ ნებისმიერი მიზეზით დატოვეს კერძო სადაზღვევო სქემა, გამოიწვევდა საბიუჯეტო სახსრების გაუთვალისწინებელ ზრდას, რაც რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა მთლიანად ჯანმრთელობის სახელმწიფო დაცვის საყოველთაო პროგრამას. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობა უკავშირდებოდა არსებული საბიუჯეტო რესურსების თანაბრად გადანაწილებას არსებითად თანასწორი სუბიექტებისათვის, თავისთავად, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის ინტერესი ვერ გამოდგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცული კანონის წინაშე თანასწორობის უფლების შეზღუდვის რაციონალურობის მტკიცების საფუძველად.

მოპასუხე მხარემ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის მიზნად მიუთითა ასევე კერძო სადაზღვევო სექტორის წახალისება, რათა არ მომხდარიყო მათი ბენეფიციარების ხელოვნური გადაღინება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან კერძო სადაზღვევო სექტორის დაცვა წარმოადგენდა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც, შესაძლოა, სცილდებოდა მხოლოდ ამ კონკრეტულ სფეროს და ზოგადსახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენდა. თუმცა, ამის მიუხედავად, უნდა შემოწმებულიყო, რამდენად არსებობდა ლოგიკური კავშირი აღნიშნულ მიზანსა და სადავო ნორმით დაწესებულ შეზღუდვას შორის.

სასამართლოს აზრით, იმისათვის, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, სახელმწიფო პროგრამის პარალელურად, ბაზარზე წარმატებით ეფუნქციონირა კერძო სადაზღვევო სექტორს, როგორც კონკურენტუნარიან სუბიექტს და არ მომხდარიყო მისგან ბენეფიციართა ხელოვნური გაღინება, პირველ რიგში, თავად ამ უკანასკნელს უნდა გამოეხატა ინიციატივა, მომხმარებლისთვის შეეთავაზებინა მომსახურების უკეთესი პირობები. გარდა ამისა, სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორის დაცვა/წახალისება, ასევე მათ შორის ინფორმაციის გაცვლისა და კომუნიკაციის პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იყო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის ან/და სფეროს უკეთ რეგულირების გზით. ამ პროცესში სახელმწიფოსთან უწყვეტი კომუნიკაცია და მისთვის ინფორმაციის დროული მიწოდება თავად კერძო სექტორის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდა. ამგვარი ინტერესის არქონა მიუთითებდა სუბიექტურ და არა ობიექტურ პრობლემაზე, რომელიც ვერ განდებოდა ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვის რაციონალურობის მტკიცებისა და, შესაბამისად, დიფერენცირებული მოპყრობის გამართლების საფუძველი. სახელმწიფოს მხრიდან დასახული ზემოაღნიშნული მიზანი ვერ მიიღწეოდა საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით სრულფასოვნად სარგებლობის

შესაძლებლობის შეზღუდვით. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირება გაუმართლებელი იყო და არაკონსტიტუციურად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საქმის არსებითად განხილვის დასრულების შემდეგ სადავო ნორმამ რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. კერძოდ, 2017 წლის 9 თებერვალს საქართველოს მთავრობამ მიიღო №73 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც დადგენილების №1 დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კერძო სადაზღვევო სქემის დატოვების თარიღად გაიწერა 2017 წლის 1-ლი იანვარი. საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის 25 აპრილს მიღებული №208 დადგენილებით კი, ახლებურად განისაზღვრა სადავო ნორმით დადგენილ პირთა წრე და მინიმალური პაკეტით გათვალისწინებულ მომსახურებათა ჩამონათვალი, რითაც აღმოიფხვრა მოსარჩელის პრობლემა.

13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/13/878 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“¹³

დავის საგანი

„სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის N241/ნ ბრძანების N1 დანართის 24-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მამაკაცს, რომელსაც სქესობრივი კავშირი ჰქონდა სხვა მამაკაცთან (მსმ), ეკრძალებოდა სისხლის დონორობა. ეს ნორმა გასაჩივრებული იყო კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ თანასწორობის უფლებასა და მე-12 მუხლით პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმით ხდებოდა დისკრიმინაცია, რადგან ჰეტეროსექსუალ პირებს, რომლებსაც დაუცველი სქესობრივი კონტაქტი ჰქონდათ, უვადოდ არ ეკრძალებოდათ სისხლის დონორობა. მოსარჩელეთა განცხადებით, მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთმეოდათ სისხლის და მისი კომპონენტების დონორად ყოფნის უფლება. მათი განმარტებით, გარკვეული დროის შემდეგ ე.წ. „ფანჯრის პერიოდის“ მიღმა, შესაძლებელი იყო დონორის სისხლის შემოწმებით იმის დადგენა, პირი სისხლის გზით გადამდები დაავადების მატარებელია თუ არა. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ირღვეოდა იმის გამო, რომ მსმ-მ პირებს „ფანჯრის პერიოდის“ მიღმა არ ეძლეოდათ სისხლის დონორობის შესაძლებლობა.

მოპასუხე: მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ რამდენადაც ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს (მამაკაცებს) შორის სქესობრივი კავშირის დამყარებისას სისხლის გზით გადამდები დაავადების შექენის რისკი განუზომლად მაღალი იყო და, ამასთანავე, საქართველოში არსებული სისხლის შემოწმების მეთოდი ვერ უზრუნველყოფდა ამ დაავადებათა სრულად გამოვლენას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ამიტომ ყველაზე გონივრული გზა იყო სარისკო ჯგუფს მიკუთვნებული პირებისათვის დონაციის უფლების განუსაზღვრელი ვადით შეზღუდვა. შესაბამისად, სადავო ნორმები არ უნდა მიჩნეულიყო არაკონსტიტუციურად.

განჩინების დასაბუთება

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმებს გააჩნდათ ის შინაარსი, რომელიც არაკონსტიტუციურად იყო ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით საქმეზე „ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე აყენებდა შუამდგომლობას კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და გამწესრიგებულ სხდომაზე მიღებული განჩინებით ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (დამძლევი ნორმა).

სადავო ნორმის დამძლევი რეგულაციად მიჩნევისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შე-

¹³ წინამდებარე კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელის ინტერესებს, საიას გარდა, ასევე იცავდნენ თანასწორობის მოძრაობის თანამშრომლები.

ეფასებინა, კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული სადავო ნორმა რამდენად იმეორებდა 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების შინაარსს. შესაბამისად, უნდა დაედგინა: 1. გააჩნდა თუ არა სადავო ნორმებს ერთი და იგივე ლეგიტიმური მიზნები; 2. უფლების შეზღუდვის საშუალება და მათ მიერ გამოწვეული სამართლებრივი შედეგები იყო თუ არა იდენტური და 3. არსებობდა თუ არა სხვა ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოება, რომელიც წარმოშობდა გასაჩივრებული ნორმის ხელახლა შეფასების საჭიროებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ სადავო ნორმით სისხლის დონორობის უფლება ეზღუდებოდათ, ერთი მხრივ, ჰომოსექსუალ პირებს, რომლებიც შეიძლება არ ყოფილიყვნენ დაკავებულნი სარისკო სექსუალური ქცევით, ხოლო, მეორე მხრივ, რისკის შემცველი სქესობრივი კავშირის მქონე პირებისთვის დაწესებული აკრძალვა იყო აბსოლუტური და არ განსაზღვრავდა კონკრეტულ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ინარჩუნებდა ქცევა რისკს დონაციის პროცესის უსაფრთხოებისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სისხლის გზით გადამდები სხვადასხვა დაავადების აღმოჩენა შესაძლებელი იყო სისხლის ლაბორატორიული გამოკვლევით. არსებული ტექნოლოგიებით, აივ-ვირუსის გამოვლენა სრულად იყო შესაძლებელი ე.წ. „ფანჯრის პერიოდის“ შემდეგ, შესაბამისად, სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის ბლანკეტურად, განუსაზღვრელი ვადით შეზღუდვა სარისკო ქცევის მქონე ჰომოსექსუალი მამაკაცებისთვის, არ პასუხობდა თანაზომიერების პრინციპს.

№878 კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული ნორმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/1/536 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების მსგავსად, მიზნად ისახავდა სისხლისა და მისი კომპონენტების რეციპიენტთა ჯანმრთელობის დაცვას. აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, კანონმდებელი ახდენდა დონაციის პროცესიდან იმ პირების ჩამოშორებას, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ სარისკო სექსუალური ქცევით. სარისკო ქცევის ცნების ქვეშ მოიაზრებოდა ქმედება, რომელიც შეიცავდა სისხლის გზით გადამდები დაავადებების შექმნის მაღალ რისკს, ხოლო №536 კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას, მოწმეთა და ექსპერტთა განმარტებით, სარისკო ქცევას, მათ შორის, მიეკუთვნებოდა მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან. აღსანიშნავია, რომ №878 კონსტიტუციურ სარჩელში სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა სწორედ აღნიშნულ პირთა წრეს, მამაკაცთან სქესობრივი აქტის მქონე მამაკაცებს მიემართებოდა.

სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული რეგულაცია იმავე საშუალებით ზღუდავდა პირის უფლებას, გამხდარიყო სისხლისა და მისი კომპონენტების დონორი, რომელსაც ითვალისწინებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები. კერძოდ, იმ მამაკაცს, რომელსაც ერთხელ მაინც ჰქონდა სქესობრივი კავშირი მამაკაცთან, მიუხედავად ამ კავშირიდან გასული პერიოდისა, აბსოლუტურად ეკრძალებოდა დონორობა.

ამასთან, გამწესრიგებელ სხდომაზე მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა რამე ახალი სამეცნიერო მტკიცებულება, რომელიც გახდებოდა ერთხელ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი წესის ხელახლა შეფასების საფუძველი. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ №878 კონსტიტუციური სარჩელში მითითებული სადავო ნორმით განსაზღვრული რეგულაცია უკვე შეფასებული და გადაწყვეტილი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამასთანავე, არ არსებობდა №878 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის ფორმატში გამოკვლევის საჭიროება. შესაბამისად, სადავო ნორმა წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილების დამძლე ნორმას და იგი უნდა გამოცხადებულიყო ძალადაკარგულად საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმა იმეორებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს და არაპროპორციულად ზღუდავდა ადამიანის უფლებებს, იგი ემსახურებოდა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის – ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას სისხლისა და მისი კომპონენტების დოზისას, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ინფექციური დაავადებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, საკითხის მოწესრიგების გარეშე დატოვებას, შესაძლოა, გაუმართლებელი საფრთხე შეექმნა ბენეფიციართა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო, არსებული ტექნოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეემუშავებინა ისეთი რეგულაცია, რომლითაც დაცული იქნებოდა დონორობის პროცესის უსაფრთხოების მოთხოვნები და მხედველობაში იქნებოდა მიღებული ე.წ. „ფანჯრის პერიოდის“ ის ხანგრძლივობა, რომელსაც იმ პერიოდში არსებული ტესტირების მეთოდი მოითხოვდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს განჩინებით, სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება გადავადდა 2017 წლის პირველ ნოემბრამდე, რათა მოპასუხეს მისცემოდა გონივრული შესაძლებლობა, ამჯერად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, მოეწესრიგებინა აღნიშნული საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების შემდეგ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებით, სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენების განსაზღვრის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ ბრძანებაში შევიდა ცვლილება.

ცვლილების მიხედვით, მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან განისაზღვრა ქცევად, რომელიც უკავშირდება სისხლის გზით გადამდები დაავადებების შეძენის მაღალ რისკს და, ამგვარი კავშირის შემთხვევაში, სისხლისა და მისი კომპონენტების უანგარო დონაციის უფლება იზღუდებოდა საბოლოო სარისკო სქესობრივი კონტაქტიდან 10 წლის განმავლობაში. მართალია, ამ ცვლილებით აღმოიფხვრა სისხლისა და მისი კომპონენტების უანგარო დონაციის უფლების სამუდამო აკრძალვა, თუმცა, საიამ მიიჩნია, რომ 10 წლიანი ამკრძალავი პერიოდი მაინც ეწინააღმდეგებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ორგანიზაციამ ეს საკანონმდებლო ცვლილება №1346 კონსტიტუციური სარჩელით ხელახლა გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში.

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/16/1346 განჩინება საქმეზე „გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“

დავის საგანი

„სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ ბრძანების იმ ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან (თანასწორობის უფლება) და მე-12 მუხლთან (პიროვნული განვითარების უფლება), რაც 10 წლით უზღუდავდა მსმ-ს (მამაკაცი, რომელსაც ჰქონდა სქესობრივი კავშირი სხვა მამაკაცთან) სისხლის დონორობის უფლებას.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელე მხარე ითხოვდა სადავო რეგულაციის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილების დამძლე ნორმად მიჩნევას. მოსარჩელეთა არგუმენტაციით, მართალია, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა არ წარმოადგენდა უვადო ხასიათის შეზღუდვას და ითვალისწინებდა დონორობის უფლების გადავადებას 10 წლის განმავლობაში, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იყო მიჩნეული ე.წ. „ფანჯრის პერიოდი“ მიღმა არსებული შეზღუდვა. მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, №536 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვის სხდომაზე მოწვეული ექსპერტები მიუთითებდნენ, რომ „ფანჯრის პერიოდი“ შესაძლოა გაგრძელებულიყო ბოლო სქესობრივი კონტაქტიდან 1 წლის განმავლობაში, შესაბამისად, დადგენილი შეზღუდვა ახდენდა ძირითად უფლებაში საჭიროზე მაღალი ინტენსივობით ჩარევას და ამ კუთხით არ არსებობდა რაიმე ახალი გარემოება, რომლის არსებითი განხილვის ფორმატში შეფასების საჭიროებაც იარსებებდა.

მოპასუხე: მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა არსებითად განსხვავდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეფასებული ნორმისგან. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები ადგენდნენ მსმ პირებისათვის სისხლის დონორობის უფლების უვადო აკრძალვას. ამისგან განსხვავებით, გასაჩივრებული რეგულირებით მსმ პირთა დონორობის უფლება შეზღუდული იყო 10 წლის ვადით და არა უვადოდ. ის, თუ რამდენად იყო 10 წელი გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული, უნდა შეფასებულიყო არსებითი განხილვის ეტაპზე და არ უნდა მომხდარიყო სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა გამწესრიგებულ სხდომაზე.

განჩინების დასაბუთება

საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაედგინა, რამდენად იმეორებდა სადავო ნორმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების შინაარსს. ამასთან, სადავო ნორმების იგივეობის პირობებშიც კი აუცილებელი იყო იმის გამორკვევა, ხომ არ არსებობდა რაიმე ახალი გარემოება, რის გამოც აუცილებელი იქნებოდა სადავო ნორმის კონსტიტუციურობის ხელახალი შეფასება არსებითი განხილვის ფორმატში.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო რეგულაცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციუ-

რად ცნობილ ნორმებს იმეორებდა. კერძოდ, მსმ პირებს უზღუდებდათ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შესაბამისად, იმ მამაკაცს, რომელსაც ერთხელ მაინც ჰქონდა სქესობრივი კავშირი მამაკაცთან, მიუხედავად ამ კავშირიდან გასული დროის პერიოდისა, აბსოლუტურად და ბლანკეტურად ჰქონდა აკრძალული დონორობის უფლება. №1346 კონსტიტუციური სარჩელით, სადავოდ გამხდარი ნორმით, მსმ პირებს დონორობის უფლება შეზღუდული ჰქონდათ უკანასკნელი სარისკო ქცევიდან 10 წლის განმავლობაში. ამრიგად, სადავო ნორმა, მართალია, იმეორებდა 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ შეზღუდვას, თუმცა განსხვავებული იყო მისი მოქმედების ვადა – უვადო აკრძალვის ნაცვლად სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა უკანასკნელი სქესობრივი აქტიდან 10 წლის ვადით იყო შემოფარგლული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმების იდენტურობის დასადგენად უნდა შეფასებულიყო, დონორობის უფლების 10 წლის ვადით შეზღუდვასა და უვადო შეზღუდვას შორის სხვაობა იყო თუ არა ისეთი, რაც გამორიცხავდა ნორმების შინაარსობრივ მსგავსებას და განაპირობებდა საკითხის არსებითი განხილვის ფორმატში შეფასების საჭიროებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხის შეფასებისას შემზღუდველი ღონისძიების მოქმედების ხანგრძლივობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა და უფლების შეზღუდვის ინტენსივობას განაპირობებდა. სადავო ნორმებს შორის შინაარსობრივი მსგავსებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „დამძლველი ნორმის“ იდენტიფიცირების პროცესში აღნიშნული ფაქტორის გავლენას განსაზღვრავდა ის გარემოება, თუ რამ განაპირობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თავდაპირველი გადაწყვეტილებით ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა. კერძოდ, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა მოხდა უფლების შემზღუდველი ღონისძიების განსაკუთრებით ინტენსიური, ხანგრძლივი ხასიათის გამო, შესაძლებელი იყო, უფრო ნაკლები ვადით დადგენილი შეზღუდვა კონსტიტუციის შესაბამისად ყოფილიყო მიჩნეული. თუ სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება ადარ იყო აბსოლუტური, თუმცა მაინც საკმაოდ ხანგრძლივად და კვლავ არაპროპორციულად მძიმედ ზღუდავდა უფლებას, იგი მიიჩნეოდა იმავე შინაარსის ნორმად და ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა ცნობილი საქმის არსებითად განსახილველად მიღების გარეშე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/1/536 გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტის მიხედვით, მსმ პირებისათვის სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის აუცილებელზე მეტი ვადით შეზღუდვა არაკონსტიტუციური იქნებოდა. კონსტიტუციით, სისხლის დონორობის შეზღუდვა დასაშვები იქნებოდა იმ დრომდე, ვიდრე იარსებებდა აივ-ინფექციაზე ე.წ. „ცრუ უარყოფითი“ პასუხის საფრთხე. შესაბამისად, შემზღუდველი ღონისძიების ხანგრძლივობის სხვაობას სადავო ნორმით დადგენილსა და №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმით განსაზღვრულ უვადო აკრძალვას შორის არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა, თუ სადავო ნორმით დადგენილი აკრძალვა მოექცეოდა იმ პერიოდში, რომელშიც არსებობდა სისხლის შემოწმების შედეგად ე.წ. „ცრუ უარყოფითი“ პასუხის რეალური შესაძლებლობა. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში ნორმების იგივეობის შესაფასებლად აუცილებელი იყო სადავო ნორმით გათვალისწინებული 10 წლიანი აკრძალვის ხანგრძლივობის შეფასება და იმის დადგენა, ხომ არ სცდებოდა იგი იმ პერიოდს, რომლის ფარგლებშიც არსებობდა სისხლის შემოწმების შედეგად ე.წ. „ცრუ უარყოფითი“ პასუხის და, შესაბამისად, ინფიცირებული სისხლის დონაციის რეალური რისკები.

№536 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის ფარგლებში „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი განმარტებით, „ფანჯრის პერიოდი“ შეიძლება გაგრძელებულიყო 12 თვემდე. ამასთან, კონსტიტუციურ სარჩელზე მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ სისხლის გზით გადამცემი მძიმე ინფექციების „ფანჯრის პერიოდი“ არ აღემატებოდა 12 თვეს. ამრიგად, სადავო ნორმით დადგენილი 10 წლიანი აკრძალვა, მართალია,

არ იყო უვადო, თუმცა წარმოადგენდა ბევრად უფრო ხანგრძლივ შეზღუდვას, ვიდრე ეს ე.წ. „ფანჯრის პერიოდი“ (ეს არის დრო, როცა აივ ტესტზე ცრუ უარყოფითი პასუხის მიღების შესაძლებლობა ჯერ კიდევ არსებობს). შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაშიც, საკონსტიტუციო სასამართლოს №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად, სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის უფლება იზღუდებოდა „ფანჯრის პერიოდის“ მიღმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დონაციის უვადო შეზღუდვის 10 წლიანი პერიოდით შეცვლა მის კონსტიტუციურად მიჩნევას ვერ განაპირობებდა. ამიტომ დონორობის 10-წლიანი შეზღუდვა მისი უვადო აკრძალვისგან ისეთი ხარისხისა და ინტენსივობის განსხვავება არ იყო, რომ საჭირო გამხდარიყო საქმის ხელახალი არსებითი განხილვა. ნორმის კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ფაქტს, „ფანჯრის პერიოდის“ მიღმა დაწესებული შეზღუდვა უვადო იქნებოდა თუ 10 წლიანი, ვინაიდან ორივე შემთხვევაში დადგენილი შეზღუდვა აღემატებოდა იმ პერიოდს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იყო სისხლის ტესტის ე.წ. „ცრუ უარყოფითი“ პასუხის შედეგად სისხლის ბანკში ინფიცირებული სისხლის მოხვედრის რეალური საფრთხე არსებულოყო.

გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება

სასამართლოს განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმა იმეორებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს და არაპროპორციულად ზღუდავდა ადამიანის უფლებებს, იგი ემსახურებოდა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის – ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, სისხლისა და მისი კომპონენტების უსაფრთხოების დაცვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში საკითხის მოწესრიგების გარეშე დატოვებას, შესაძლოა, გამოეწვია მნიშვნელოვანი ინტერესების დარღვევა. შესაბამისად, სასამართლომ სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება 2020 წლის 31 მარტამდე გადაავადა, რათა მოპასუხეს მისცემოდა გონივრული შესაძლებლობა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მოეწესრიგებინა აღნიშნული საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის ბრძანებით, „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ ბრძანებაში ცვლილებები განხორციელდა.

ცვლილების მიხედვით, მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან კვლავ წარმოადგენს ქცევას, რომელიც უკავშირდება სისხლის გზით გადამდები დაავადებების შექმნის მაღალ რისკს, თუმცა ამგვარი კავშირის შემთხვევაში სისხლისა და მისი კომპონენტების უანგარო დონაციის უფლება იზღუდება არა 10, არამედ 1 წლით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ექსპერტების მიერ ე.წ. „ფანჯრის პერიოდად“ მიჩნეული იყო სწორედ 1 წელი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილება სრულყოფილად აღსრულებული და არც მისი აღსრულების დაგვიანება მომხდარა.

15. საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის №1/19/1265,1318 განჩინება საქმეზე „ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“¹⁴

დავის საგანი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე“ იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისთვის საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელე მხარის განმარტებით, რადგან ნარკოტიკულმა საშუალებამ რეალური საფრთხე შეუქმნა ადამიანის ჯანმრთელობას, აუცილებელია, სახეზე ყოფილიყო ის ოდენობა, რომელიც წარმოადგენდა მოსახმარად ვარგისს. შესაბამისად, მოსარჩელის აზრით, მოსახმარად უვარგისი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შეძენა და შენახვა არ წარმოადგენდა საზოგადოებრივი საშიშროების მქონე მოქმედებას. მოსარჩელეები მიიჩნევდნენ, რომ ამგვარი ქმედებისთვის სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის დაწესებით, სახელმწიფო ესწრაფოდა მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზნის მიღწევას, რაც პროპორციულობის გარეშე ინდივიდს სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტად აქცევდა. მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო ნორმა წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილების დამძლევ ნორმას და არსებითი განხილვის გარეშე უნდა ცნობილიყო არაკონსტიტუციურად.

მოპასუხე: მოპასუხის პოზიციით, სხვაობა სადავო ნორმასა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/8/696 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმებს შორის გამოიხატებოდა ნარკოტიკული საშუალებების სახეობასა და მოცულობაში. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევებში ნარკოტიკული საშუალებების ოდენობისა და სახის გათვალისწინებით იმის განსაზღვრა, სადავო ნორმით ხდებოდა თუ არა მოსახმარად უვარგისი რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა/შენახვისთვის პასუხისმგებლობის დაწესება, უნდა გადაწყვეტილიყო არსებითი სხდომის ფარგლებში და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელეთა მოთხოვნა სადავო ნორმის განჩინებით ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განჩინების დასაბუთება

მოსარჩელეები მიიჩნევდნენ, რომ სადავო ნორმებს გააჩნდათ ისეთივე შინაარსი, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, იყო თუ არა გასაჩივრებული ნორმა დამძლევი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნორმის რეგულირების ქვეშ ექცეოდა

¹⁴ აღნიშნულ საქმეში საია იცავდა მხოლოდ ნოე კორსავას, ხოლო მეორე მოსარჩელის ინტერესებს წარმოადგენდა „თეთრი ხმაურის მოძრაობა“.

ერთ გრამზე (მათ შორის 0.00009გ.) ნაკლები ნებისმიერი ოდენობის დეზომორფინის უკანონოდ დამზადება, შექმნა და შენახვა, განურჩევლად იმისა, გამოდგებოდა თუ არა იგი მოსახმარად. სასამართლომ დაადგინა, რომ 0.00009 გრამი დეზომორფინი არ წარმოადგენდა მოსახმარად ვარგის ოდენობას. შესაბამისად, აღნიშნული ოდენობის დეზომორფინის დამზადება, შექმნა და შენახვა საზოგადოებრივ უსაფრთხოებას არ უქმნიდა საშიშროებას. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ემსახურებოდა მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად კი, მხოლოდ ზოგადი პრევენცია ვერ იქნებოდა საკმარისი პირის მიმართ ნებისმიერი სასჯელის გამოყენებისთვის, რადგან ასეთი მიდგომით ადამიანი სახელმწიფოს ხელში გადაიქცეოდა საზოგადოების „დამინების იარაღად,“ რაც კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალულ არაჰუმანურ სასჯელს წარმოადგენდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ №1/8/696 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად, სადავო ნორმაც სასჯელის სახედ აღგენდა თავისუფლების აღკვეთას მოსახმარად გამოუსადეგარი ნარკოტიკული საშუალების დამზადების, შექმნისა და შენახვისათვის. შესაბამისად, სასამართლოს უნდა შეეფასებინა, რამდენად გააჩნდა სადავო ნორმას უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმასთან მიმართებით იმგვარი განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც წარმოშობდა მისი კონსტიტუციურობის ხელახალი შეფასების საჭიროებას არსებითი განხილვის ფორმატში.

სასამართლოს განმარტებით, სხვაობა კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარ და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების შინაარსს შორის გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, ნარკოტიკული საშუალების სახეში (არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შემთხვევაში სახეზე იყო ნარკოტიკული საშუალება დეზომორფინი, ხოლო მოცემულ შემთხვევაში ფასდებოდა ნებისმიერი ის ნარკოტიკული საშუალება, რომელსაც არ გააჩნდა მცირე ოდენობა), ხოლო, მეორე მხრივ, ნარკოტიკული საშუალების ოდენობაში – არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ნარკოტიკული საშუალება დეზომორფინის კონკრეტულ ოდენობას – 0,00009 გრამს, ხოლო წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელის შემთხვევაში სასამართლოს მიერ შესაფასებელ მოცემულობას წარმოადგენდა ნარკოტიკული საშუალებების ის ოდენობა, რომელიც უვარგისი იყო გამოყენებისათვის.

სასამართლოს მითითებით, ზოგადად, ნარკოტიკული საშუალების სახეს ისევე, როგორც მის ოდენობას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისგან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების კუთხით. ამასთან, აღნიშნული ფაქტორები რელევანტური იყო მაშინ, როდესაც სასამართლო აფასებდა ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად ვარგისი ოდენობის შენახვისათვის გათვალისწინებული სასჯელის კონსტიტუციურობას. საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილებით, საერთოდ არ მომხდარა იმ საფრთხეების შეფასება, რომლებიც უკავშირდებოდა მოსახმარად გამოსადეგი ოდენობის დეზომორფინის დამზადებას, შექმნას, შენახვას. სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობა განაპირობა არა ნარკოტიკული საშუალების სახემ, არამედ კონკრეტული ოდენობიდან გამომდინარე, მისმა მოსახმარად გამოუსადეგარმა ხასიათმა. აღნიშნული გადაწყვეტილებით დამკვიდრდა სტანდარტი, რომლის თანახმადაც, სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება იმ ოდენობის ნარკოტიკული საშუალების დამზადების, შექმნისა და შენახვისთვის, რომელიც არ იყო მოსახმარად გამოსადეგი ოდენობის, წარმოადგენდა აშკარად არაპროპორციულ სასჯელს და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, ბუნებრივია, ნებისმიერი სხვა სახის ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით დამზადება, შექმნა და შენახვა არ წარმოშობდა რაიმე ისეთ დამატებით საფრთხეს, რაც არ იარსებებდა მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის დეზომორფინის დამზადების, შექმნისა და შენახვის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმა არ იყო მიღებული არსებითად განსახილველად და ძალადაკარგულად გამოცხადდა განჩინებით.

განჩინების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები

იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული განჩინების აღსრულება, თავად საკონსტიტუციო სასამართლომ გააკეთა განმარტება. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ „წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ქმედება ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით შეძენა-შენახვას, უნდა დადგინდეს კონკრეტული საქმის გარემოების ინდივიდუალური შეფასების შედეგად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდების მხარის და საქმის განმხილველი სასამართლოს (სათანადო ცოდნის მქონე სპეციალისტის დახმარებით) შესაფასებელია, წარმოადგენს თუ არა აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალება/ნარკოტიკულ საშუალებათა ნარევი მოსახმარად გამოსადეგ ოდენობას. სწორედ საერთო სასამართლოს შეუძლია, სათანადოდ დაიცვას და ადასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტი, რომელიც გამორიცხავს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას მოსახმარად გამოუსადეგარი ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და შენახვისათვის“.

„საკანონმდებლო მაცნეში“ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის გასწვრივ გაკეთდა აღნიშვნა: ძალადაკარგულად გამოცხადდა მე-3 ნაწილის სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისთვის. ეს ჩანაწერი საკმარისია იმისთვის, რომ სასამართლოებმა შეაფასონ, ესა თუ ის ნარკოტიკული საშუალება, ცალკე აღებული ან ნარევთან ერთად, საკმარისია თუ არა ნარკოტიკული სიმთვრალის მისაღწევად. ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებები აღარ არის აუცილებელი.

16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარეუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“

დავის საგანი¹⁵

სადავო ნორმები განსაზღვრავდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმების წესს. კერძოდ, სრული შემოწმებისას ხდებოდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და პროთეზის (მისი არსებობის შემთხვევაში) დათვალიერება. ამასთან, სრული შემოწმება ხდებოდა: ა) დაწესებულებაში მიღებისას; ბ) დაწესებულებიდან გაგზავნისას; გ) სამართლო საკანში მოთავსებისას; დ) საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში მოთავსებისას; ე) განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დაწესებულების დროებით დატოვება/დაბრუნებისას; ვ) დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა/დაბრუნებისას და ზ) სხვა შემთხვევაში ღირეპტორისა და მის მიერ უფლებამოსილ მოსამსახურეთა მითითებით/გადაწყვეტილებით. სადავო ნორმები გასაჩივრებული იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით (ღირსების უფლება), მე-12 მუხლთან (პიროვნული განვითარების უფლება) და მე-15 მუხლთან მიმართებით (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა).

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე: მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ პირის გაშიშვლება, როგორც შემოწმების ფორმა, უნდა გამოყენებულიყო მხოლოდ მსჯავრდებულის/ბრალდებულის პიროვნებიდან მომდინარე რისკფაქტორების გათვალისწინებით, რა დროსაც მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული დანაშაულის სიმძიმე და პირის ყოფაქცევა დაწესებულებაში. მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებდა ასევე სრული გაშიშვლების ღონისძიების გამოყენების ინტენსივობაზე და მიუთითებდა, რომ სადავო ნორმების პირობებში პირის გაშიშვლება შესაძლებელი იყო მომხდარიყო რამდენჯერმე, რაც ღირსების შემლახავ მოპყრობას უტოლდებოდა და, ასევე, პირადი ცხოვრების უფლებას არღვევდა. ამასთან მოსარჩელის აზრით, სხეულის ნაწილების გაშიშვლების თავიდან აცილების მიზნით პირი იძულებული იყო, უარი ეთქვა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებაზე, რაც მსუსხავ ეფექტს ახდენდა პიროვნების განვითარების უფლებაზე. მოსარჩელე, იმავდროულად, მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნორმების ლეგიტიმური მიზნები ეფექტურად იქნებოდა მიღწეული ისეთი ნაკლებად მზღუდავი ღონისძიებით, როგორც გაშიშვლების გარეშე სკანერით შემოწმება. მოსარჩელის აზრით, სკანერი გაცილებით უკეთესად უზრუნველყოფდა ადამიანის სხეულზე ან სხეულში არსებული უკანონო ნივთების იდენტიფიკაციას, ვიდრე ვიზუალური შემოწმება.

მოპასუხე: მოპასუხე მხარის პოზიციით, შესაძლოა, ნაკლებად მძიმე და სანიმუშო ქცევის მქონე პირების გაშიშვლებაზე უარს წახედალისებინა ამ კატეგორიის პატიმრების მიერ პენიტენციარულ დაწესებულებაში კანონმდებლობით აკრძალული ნივთების შეტანა ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენა. მოპასუხე ასევე მიიჩნევდა, რომ სკანერით შემოწმება იყო გაშიშვლების შემავსებელი და არა ალტერნატიული შემოწმების საშუალება, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფდა გარკვეული

¹⁵ „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის პირველი აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 113-ე მუხლის (2013 წლის პირველი აგვისტოდან 2017 წლის პირველ სექტემბრამდე მოქმედი რედაქცია) და 114-ე მუხლის პირველი და მე-2 წინადადება და, ასევე, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №116 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

კატეგორიის ნივთიერებების იდენტიფიცირებას. შესაბამისად, სრული შემოწმების სკანერით ჩანაცვლების შემთხვევაში ვერ იქნებოდა მიღწეული ის ლეგიტიმური მიზნები, რომელსაც სადავო ნორმები ემსახურებოდა – სასჯელადსრულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა და პრევენცია.

გადაწყვეტილების დასაბუთება

საქმის განხილვის მომენტისთვის №116 ბრძანების გასაჩივრებულმა ნორმებმა ცვლილება განიცადა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სადავო ნორმის რედაქციის ცვლილება განიხილება სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებად, რაც იწვევს საქმის შეწყვეტას გარდა იმ შემთხვევისა, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხის გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. მართალია, წინამდებარე საქმეში სადავო ნორმებმა ცვლილება განიცადა, რაც საქმის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის სადავოდ გამხდარი საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.

ვინაიდან სადავო ნორმები გასაჩივრებული იყო კონსტიტუციის რამდენიმე დებულებასთან, სასამართლომ ისინი განიხილა ცალ-ცალკე.

1. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ობიექტური საფუძვლის გარეშე უფლების შემზღვეველი ღონისძიების გამოყენება, რომელიც გულისხმობდა დაწესებულებაში მოთავსებული პირის გაშიშვლებას, უნდა განხილულიყო საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით უპირობოდ აკრძალულ არასათანადო მოპყრობად. შესაბამისად, სასამართლოს უნდა შეემოწმებინა პირის გაშიშვლების საპირწონედ არსებობდა თუ არა ისეთი ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში ობიექტურ ჩარევად მიიჩნეოდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, მოპასუხის მიერ დასახელებული მიზნები – პენიტენციარული სისტემის უსაფრთხოების, პენიტენციარულ დაწესებულებებში მოთავსებული და დასაქმებული პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, აგრეთვე დანაშაულისა და ბრალდებულების/მსჯავრდებულების გაქცევის თავიდან აცილების უზრუნველყოფა უდავოდ წარმოადგენდა იმ მნიშვნელოვან ინტერესებს, რაც პატიმრის გაშიშვლებას ამართლებდა. ამდენად, უნდა შეემოწმებულიყო იყო თუ არა სადავო ნორმებით დაწესებული შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გამოსადეგი საშუალება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სრული შემოწმება იძლეოდა შესაძლებლობას, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელებში აღმოჩენილიყო აკრძალული ნივთები, ნივთიერებები, წარწერები და სხვა ობიექტები. მაშინ, როდესაც ბრალდებული/მსჯავრდებული გასული იყო დაწესებულების გარეთ, ხდებოდა მისი სამართლო საკანში/საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში განთავსება ან ღირექტორისა და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში ხორციელებოდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმება, შესაძლებელი ხდებოდა აღკვეთილიყო დაწესებულებაში აკრძალული ნივთებისა და ობიექტების მოხვედრა. შესაბამისად, აშკარა იყო, რომ სრული პირადი შემოწმება სადავო ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნამდვილად წარმოადგენდა ლეგიტიმური ინტერესის დაცვისკენ მიმართულ ღონისძიებას და თვითმიზნურ ხასიათს არ ატარებდა.

ამის შემდეგ სასამართლომ იმსჯელა სადავო ნორმებით დაწესებული შეზღუდვის აუცილებლობაზე. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სრული

შემოწმება მომხდარიყო ინდივიდუალური მახასიათებლების მხედველობაში მიღების შედეგად. სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება, რომ პირს (შესაძლოა) ჩადენილი ჰქონდა ნაკლებად მძიმე დანაშაული ან გამოირჩეოდა კარგი ყოფაქცევით, თავისთავად, ყველა შემთხვევაში ვერ გამოირიცხავდა დასახელებული საფრთხეების არსებობას. პირს, რომელსაც ნაკლებად მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი (ან ასეთი დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული), შესაძლოა, მაინც მოენდომებინა დაწესებულებაში აკრძალული ობიექტის შეტანა, საკუთარი თავის დაცვის, პირადი გამორჩენის მიზნით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ ამა თუ იმ კატეგორიის ბრალდებულები/მსჯავრდებულები თუ სრულ შემოწმებას არ დაექვემდებარებოდნენ, ეს შეიძლება გამხდარიყო პენიტენციარულ დაწესებულებაში მოთავსებული პირების მხრიდან სრული შემოწმების მექანიზმისთვის გვერდის ავლის საშუალება. შესაბამისად, ასეთი დაშვების შემთხვევაში, ეჭვქვეშ დადგებოდა პენიტენციარული დაწესებულების უსაფრთხოება, იქ მოთავსებული პირების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სხვა მნიშვნელოვანი ინტერესები.

სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზით დგინდებოდა ისიც, რომ სკანერის გამოყენებით შეუძლებელი იყო ნებისმიერი სახის ნივთის/ნივთიერების აღმოჩენა. მაგალითად, სკანერის გამოყენებით ვერ ხდებოდა ისეთი ობიექტების აღმოჩენა, როგორებიც იყო გაშლილი ქაღალდი, წარწერები სხეულზე, ძუა და ა.შ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ პირის სრული შემოწმება გამიშვლების ფორმით პენიტენციარული დაწესებულების უსაფრთხოების ინტერესების დაცვისკენ მიმართულ აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს და არ სცდება ბრალდებული/მსჯავრდებული პირების ლეგიტიმური მოპყრობის ფარგლებს იმგვარად, რომ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად იყოს მიჩნეული.

სასამართლომ იმსჯელა იმაზეც, თუ რამდენად იყო სადავო ნორმებით დაწესებული ღონისძიებები მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება. სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს გარესამყაროსთან კონტაქტი ჰქონდა, განსაკუთრებით იზრდებოდა დაწესებულებაში აკრძალული ნივთების, წარწერებისა და სხვა ობიექტების მოხვედრის, ასევე დაწესებულებიდან ამგვარი ობიექტების გატანის საფრთხე. შესაბამისად, გარესამყაროსთან კონტაქტამდე და კონტაქტის შემდეგ სრული შემოწმების ღონისძიების ჩატარებით მიღწეული ეფექტი, დაწესებულებაში წესრიგის, ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი საფრთხის აცილების ინტერესი გადაწონიდა იმ დისკომფორტისა და სირცხვილის შეგრძნებას, რასაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის გამიშვლება იწვევდა. სასამართლოს განმარტებით, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულების შიგნით გადაადგილება ხდებოდა, ასეთ შემთხვევებში ბრალდებულის ემოციური მდგომარეობისა და შიდა გადაადგილების სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდა თვითდაზიანების, საკნიდან სამართლო ან საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში აკრძალული ნივთებისა და სხვა ობიექტების გადაადგილების საფრთხე, პირის სრული შემოწმება კი ამ საფრთხის პრევენციას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საფუძვლებით სრული შემოწმების ჩატარებით მიღწეული შედეგი, მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადაწონიდა გამიშვლებით გამოწვეულ ნეგატიურ შეგრძნებებს.

რაც შეეხება დირექტორის/მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე პირის გამიშვლებას, სასამართლომ განსაზღვრა, რომ №200 ბრძანების სადავო ნორმები არ განსაზღვრავდა დირექტორისა და მის მიერ უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ მითითებების გაცემის კრიტერიუმებს. ბრძანება არ განსაზღვრავდა არც სრული შემოწმების მიზნებს და არც იმას ითვალისწინებდა, თუ დროის კონკრეტულ მონაკვეთში რა რაოდენობით იყო დაშვებული შემოწმების ჩატარება. ამასთანავე, პირის შემოწმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ ხდებოდა იმის გათვალისწინება, მოხდა თუ არა დროის იმ კონკრეტულ მონაკვეთში პირის სრული შემოწმება რომელიმე სხვა საფუძვლით (მაგალითად, დაწესებულებაში მოთავსებისას). შესაბამისად, ბრძანება არ გამოირიცხავდა დირექტორის უფლებამოსილებას, მიეღო გადაწყვეტილება სრული შემოწმების ჩატარების შესახებ ისეთი პირის მიმართ, რომელიც უკვე იყო შემოწმებული აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე დროის მოკლე პერიოდში, მაგალითად, რამდენიმე საათით ან წუთით ადრე. ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, რომ №200 ბრძანება

არ ზღუდავდა დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ სრული შემოწმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას მკაფიო კრიტერიუმებით. თავის მხრივ, მკაფიო კრიტერიუმების არარსებობის გამო №200 ბრძანება ქმნიდა პირის გამიშვლების შესაძლებლობას მინიმალური საფრთხის აღკვეთის მიზნით. №200 ბრძანება კი უშვებდა პირის გამიშვლების ღონისძიების ჩატარებას ისეთ პირობებშიც, როდესაც საფრთხე მინიმალური და ზედმეტად თეორიული იყო. ასეთ შემთხვევებში პირის გამიშვლება აღწევდა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ხარისხს. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით №200 ბრძანების 113-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტს.

2. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლსა და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით

საკონსტიტუციო სასამართლოს, პირველ რიგში, უნდა დაედგინა, ხდებოდა თუ არა კონსტიტუციის მე-12 თუ მე-15 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვა სადავო ნორმებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ სწორედ კონსტიტუციის მე-15 მუხლი იცავდა პიროვნების ხელშეუხებლობას და მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით იყო შესაძლებელი პიროვნების, მისი სხეულის, ტანსაცმლის ან/და პირადი ნივთების შემოწმება. ამასთან, ვინაიდან სადავო ნორმა იძლეოდა პირის სრული შემოწმების გზით მისი გამიშვლების შესაძლებლობას, სადავო ნორმა ახდენდა კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას და სახეზე არ იყო კონსტიტუციის მე-12 მუხლის შეზღუდვა.

სადავო ნორმების კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 მუხლთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლომ ანალოგიურად იმსჯელა, როგორც მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც, ვინაიდან №200 ბრძანების სადავო ნორმები დირექტორისა და მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების მკაფიო კრიტერიუმებს არ შეიცავდა, აღნიშნა, რომ ხდებოდა კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის არაპროპორციული შეზღუდვა და სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №200 ბრძანების 113-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა დირექტორის შეხედულებით პატიმრის გამიშვლებას, 2017 წლის 30 მაისს ძალადაკარგულად ცნო. ეს ბრძანება ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლ სექტემბერს. საკონსტიტუციო სასამართლომ მინისტრის მიერ ძალადაკარგული ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო 2018 წლის 26 ივლისს, ანუ ბრძანების გაუქმებიდან თითქმის ერთი წლის გასვლის შემდეგ. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად დამატებითი რეგულაციის მიღების აუცილებლობა არ არსებობდა.